

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მარიამ გოგოლაძე

ზოგიერთი სამოხელეო დანაშაულის კვალიფიკაციის  
პრობლემატიკა (მექრთამეობა, ზეგავლენითი ვაჭრობა,  
სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად  
გამოყენება)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია  
სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე  
სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მალხაზ ლომსაძე  
სამართლის დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი

გორი  
2019

## ანოტაცია

ნაშრომი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც არსებობს ბევრი გადაუჭრელი საკითხი ქრთამის სამართლებრივ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. ნაშრომში წარმოდგენილია სამოხელეო დანაშაულიდან ორი დანაშაული, ქრთამის აღება/მიცემა, როგორც კორუფციის უპირველესი გამოვლინება ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებში. პრაქტიკაში, შესაძლებელია, პროკურატურამ ბრალი წარადგინოს ქრთამის მუხლით, მაგრამ პროცესის მიმდინარეობისას მოხდეს სასამართლოს მიერ გადაკვალიფიცირება. ნიშნების მიხედვით ქრთამის აღება/მიცემას მომიჯნავე დანაშაულებიც აქვს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო დაკვალიფიცირებისას დილემის წინაშე დგას, შესაბამისად, ნაშრომის ძირითადი საკითხი ქრთამის სამართლებრივი კვალიფიკაციის პრობლემატიკაა, როგორც საკუთრივ მუხლის დასაბუთებით, აგრეთვე მომიჯნავე დანაშაულებთან მიმართებაში. დეტალურად მიმოხილულია ქრთამის სამართლებრივი კვალიფიკაცია, პრობლემები, სამართლებრივი მსჯელობა და დასაბუთება და ყველა ის ასპექტი, რომელიც საკითხის ირგვლივ წარმოიქმნება.

**Qualification problems of some civil servant crime  
(bribe, influence trade, abuse of service authorized)**

**Annotation**

The work is topical as far as there are many unresolved issues regarding the legal qualification of bribes. The work deals with two crimes, bribe giving/bribe taking, as a primary manifestation of corruption in young democracy countries. In practice, the Prosecutor's Office may prosecute the bribery case, but the court can't validate during the process. According to the signs, bribe giving/bribe taking has neighboring crimes and in each case, the court is facing a dilemma when qualifying, therefore, the main issue of the paper is the problem of the legal qualification of the bribe by substantiating the article and the related crimes as well. Work includes the detailed review of the bribe qualification, the legal judgement and argumentation and all the aspects that arise around the issue.

## სარჩევი

შესავალი .....	6
თავი 1. თანამდებობრივი დანაშაული, ცნება, თავისებურებები და სახეები .....	8
1.1 თანამდებობრივი დანაშაულის ცნება .....	9
1.1.1 ქრთამის აღება-მიცემის ხელშემწყობი გარემო .....	10
თავი 2. დანაშაულის გამოვლინება .....	11
თავი 3. ისტორიული ექსკურსი .....	13
3.1 არაქართული სამართლის ძეგლები ქრთამთან მიმართებაში .....	13
3.2 რუსეთისა და საკავშირო კანონმდებლობის გავლენა სამოხელეო დანაშაულის შესაბამის მუხლებზე .....	14
თავი 4. ქმედების იურიდიული ანალიზი .....	16
თავი 5. ქრთამის ადგილი სისხლის სამართლის კოდექსში .....	18
5.1 ქრთამის საგანი .....	18
5.2 ქრთამი, რომელსაც კანონმდებელი სავარაუდოდ ვერ აღიქვამს ქრთამად .....	19
თავი 6. ქრთამში გამოვლენილი კორუფციის სისხლისსამართლებრივი ასპექტები .....	20

6.1 ქრთამის ინსტიტუტის დახასიათება .....	21
თავი 7. მტკიცების ტვირთი .....	23
7.1 ქრთამი, როგორც ფორმალური დანაშაული .....	23
7.2 ფორმალური მუხლები სამოხელეო დანაშაულში .....	24
თავი 8. საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები .....	26
თავი 9. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა .....	27
თავი 10. კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო მექანიზმები .....	28
თავი 11. სამართლებრივი სახელმწიფო და ქრთამი .....	30
თავი 12. ქრთამის სამართლებრივი კვალიფიკაციის პრობლემატიკა .....	32
12.1 ქრთამის მახასიათებლები .....	34
თავი 13. ზეგავლენით ვაჭრობა .....	36
თავი 14. განზოგადებული სასამართლო პრაქტიკა სამოხელეო დანაშაულთან მიმართებაში .....	38
თავი 15. მტკიცების ტვირთის სირთულე .....	42
თავი 16. ქრთამის აღების და ზეგავლენით ვაჭრობის განსხვავება და მტკიცება .....	44

16.1 დაკვალიფიცილება .....	
45	
თავი 17. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება .....	
47	
თავი 18. ზეგავლენით ვაჭრობა და ქრთამის აღება .....	
53	
დასკვნა .....	54
გამოყენებული ლიტერატურა .....	
55	

## შესავალი

**კვლევის აქტუალობა.** საქართველოში მიმდინარე ცივილური ეკონომიკისა და დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს შენების პირობებში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ სახელმწიფო ხელისუფლების, აღმასრულებელ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. ამ ფონზე განსაკუთრებით საშიშია ხელისუფლებისა და მმართველ ორგანოებში მომუშავე მოხელეთა დანაშაულებრივი საქმიანობა. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები იწოდება თანამდებობრივ, სამოხელეო დანაშაულებად. საკითხი ფართო მსჯელობას მოითხოვს, ნიშნების მიხედვით ქრთამის აღება-მიცემას მომიჯნავე დანაშაულებიც აქვს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო დაკვალიფიცირებისას დილემის წინაშე დგას, თუ რომელი მუხლით დააკვალიფიციროს ქმედება.

**ნაშრომის მიზანი.** წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სამოხელეო დანაშაულიდან ორი დანაშაულის, ქრთამის აღება/მიცემის და მისი ზეგავლენით ვაჭრობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა. მიზნად ვისახავთ დეტალურად მიმოვიხილოთ ქრთამის სამართლებრივი კვალიფიკაცია, პრობლემები, სამართლებრივი მსჯელობა და დასაბუთება გადაკვალიფიცირებისას და ყველა ის ასპექტი, რომელმაც კვლევის განმავლობაში იჩინა თავი.

### **თემის დამუშავების ხარისხი. სამაგისტრო ნაშრომის თეორიული საფუძვლები.**

სამაგისტრო ნაშრომის თეორიული ბაზა შეადგინა სწავლული სამართალ-მცოდნეებისა სამეცნიერო ნაშრომებმა როგორცაა: გ. ლლონტი, ი. ლაგვილავა, ზ.მარუაშვილი, ე. წიკლაური, მ. მოსულიშვილი, პ. დაუთაშვილი, მ. ზუხრა, მ. ლეკვეიშვილი, გ.მამულაშვილი, ო. გამყრელიძე, გოჩა მამულაშვილი და სხვათა სამეცნიერო ნაშრომები.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, შესწავლილ იქნა შემდეგი სასამართლო გადაწყვეტილებები და საქართველოს კანონები სისხლის სამართლის კოდექსის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის, პროკურატურის შესახებ.

**თემის სიახლე.** კვლევის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ქრთამის აღება-მიცემა განხილულია, როგორც გავრცელებული და სპეციფიკური დანაშაულის ფორმა. საკითხი ფართო მსჯელობას მოითხოვს, ნიშნების მიხედვით ქრთამის აღება-მიცემას მომიჯნავე დანაშაულებიც აქვს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო დაკვალიფიცირებისას დილემის წინაშე დგას, თუ რომელი მუხლით დააკვალიფიციროს ქმედება. როგორც გასული საუკუნის რამდენიმე მეცნიერი (გ.მაყაშვილი, გ. ტყეშელიაძე), ვერ დავეთანხმებით სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ქრთამის ამღები და ქრთამის მიმცემი ერთი და იმავე დანაშაულის თანაამსრულებელია.

**კვლევის ობიექტი.** სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს ზოგადად, კორუფცია, რისი ერთ-ერთი გამოვლინებაც ქრთამის აღება-მიცემაა, სამართლებრივზე უფრო მეტად სოციალურ-ზნეობრივი მოვლენაა, ხოლო მისი გამოვლინებები, სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედებები.

**კვლევის საგანი.** სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს კორუფცია, რისი ერთ-ერთი გამოვლინება ქრთამის აღება-მიცემა, მისი არსი და მნიშვნელობა, ქრთამის აღება-მიცემის ფორმები და გამომწვევი მიზეზები, მისი ადგილი სისხლის სამართალში, მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართალში. ქრთამის აღება-მიცემასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები. კვლევის საგანი განხილულია, როგორც ისტორიული, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. ნაშრომში განხილულია ქრთამის აღება-მიცემის და შემდგომ ახალი დანაშაულის თავიდან აცილების სამართლებრივი და სოციალური მექანიზმები.

**კვლევის მეთოდი.** სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული, შედარებით-ისტორიული, სისტემური, ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები. ვებ-გვერდების შესწავლა, სხვადასხვა სიტუაციური მასალის ანალიზი.

**ნაშრომის სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავალის, ძირითადი ნაწილის (18 თავი), დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.



## თავი 1. თანამდებობრივი დანაშაული, ცნება, თავისებურებები და სახეები

დანაშაულთა მოცემული ჯგუფი (სამოხელეო დანაშაული) შეიძლება განისაზღვროს, როგორც საზოგადოებისთვის საშიში ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლებსაც სჩადიან ხელისუფლების წარმომადგენლები და თანამდებობის პირები დაკავებული თანამდებობრივი უფლებამოსილების გამოყენებით და სამსახურის ინტერესების საწინააღმდეგოდ, რაც არსებით ზიანს აყენებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ინტერესებს, ან შეიცავს ასეთი ზიანის მიყენების რეალურ საფრთხეს. ეს დანაშაულებები სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებებისაგან შემდეგი სპეციალური ნიშნებით განსხვავდება:

- დანაშაულს სჩადიან სპეციალური სუბიექტები, სახელმწიფო თანამდებობის პირები ან თანამდებობის პირები.
- ასეთი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია დაკავებული თანამდებობრივი მდგომარეობის სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით;
- დანაშაულის ჩადენისას ხდება ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ნორმალური საქმიანობის დარღვევა;

ზოგადად, კორუფცია, რისი ერთ-ერთი გამოვლინებაც ქრთამის აღება-მიცემაა, სამართლებრივზე უფრო მეტად სოციალურ-ზნეობრივი მოვლენაა, ხოლო მისი გამოვლინებები, სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედებები.

## 1.1 თანამდებობრივი დანაშაულის ცნება

ნებისმიერი სახემწიფობრივი აპარატის ორგანიზაციასა და საქმიანობას არსებითი ზიანი ადგება თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი სამსახურეობრივი უფლებამოსილების შესრულებისადმი დანაშაულებრივი და კორუმპირებული დამოკიდებულებით. ასეთი პირები აღჭურვილი არიან რა დიდი უფლებამოსილებებით და ხშირ შემთხვევაში განკარგავენ მნიშვნელოვან მატერიალურ ფასეულობებს, თავიანთი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენებით საზოგადოებას აყენებენ როგორც დიდ მატერიალურ, ასევე ზნეობრივ ზიანსაც. ახდენენ სახელმწიფო აპარატის დისკრედიტირებას, ამ სახის დანაშაულებათა შემადგენლობები გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIX თავში, სამოხელეო დანაშაულში, ესენია:

- 332-ე მუხლი- სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება;
- 333-ე მუხლი -სამსახურეობრივი უფლებამოსილებების გადამეტება;
- 334-ე მუხლი - ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლება;
- 335-ე მუხლი- განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება;
- 337-ე მუხლი სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა ;
- 338-ე მუხლი- ქრთამის აღება;
- 339-ე მუხლი- ქრთამის მიცემა;
- 339<sup>1</sup> მუხლი- ზეგავლენით ვაჭრობა;
- 340-ე მუხლი- კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება;
- 341-ე მუხლი - სამსახურეობრივი სიყალბე;
- 342-ე მუხლი- სამსახურეობრივი გულგრილობა;
- 342<sup>1</sup> მუხლი - სპეციალური პეინტენციური სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურში დადგენილი წესის დარღვევა.

მსგავსი დანაშაულის ჩადენა შეუძლიათ მხოლოდ სპეციალურ სუბიექტებს და თანამდებობის პირებს, გამონაკლისია მხოლოდ ქრთამის მიმცემისა და მექრთამეობაში

შუამავლები, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ თანამდებობის პირები. ამასთან, ნაშრომის ძირითადი ნაწილი მიმართულია სსკ 338-ე 339-ე მუხლების განმარტებაზე.

### 1.1.1 ქრთამის აღება-მიცემის ხელშემწყობი გარემო

უპირობოდ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კორუფციას, მექრთამეობას, ძირითადად ვაწყდებით სახელმწიფო აპარატის ფორმირების პროცესში, მოხელისათვის არასათანადო ანაზღაურების პირობებში, საკუთარ ყოფას სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლებით უზუნველყოფენ. ზემოაღნიშნული არის სოციალური ახსნა, მექრთამეობის, როგორც ინსტიტუტის, მაგრამ ახსნა არ არის გამართლება, შესაბამისად, აუცილებელია, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირება მოხდეს სწრაფად და ეფექტურად, სახელმწიფოს ჰქონდეს ნება, აღმოფხვრას მოხელეთა ქცევის წესიდან ქრთამი, გახადოს იგი მკაცრად დასჯადი ქმედება, შეიმუშავოს კორუფციასთან ბრძოლის სტრატეგია (ასეთი არსებობს საქართველოში) და რაც მთავარია დახვეწოს აღსრულების მექანიზმები.

## თავი 2. დანაშაულის გამოვლინება

ვისაუბრეთ დანაშაულის სახეებზე, თუმცა არაფერი გვითქვამს, თუ რაში შეიძლება გამოიხატოს დანაშაული?! იგი შეიძლება გამოიხატოს ქმედებით ან უმოქმედობით, ამ ორი ტერმინის ქვეშ ერთიანდება ყოველივე ის, რის გამოც ამ შემთხვევაში სსკ 338-ე 339-ე მუხლით გათვალისწინებული სუბიექტები ჩადიან კანონით აკრძალულ ქმედებას. შედეგი კი რომლის მისაღწევადაც შეიძლება იყოს ქრთამი გამოყენებული, არის არა მხოლოდ ის, რასაც ჩამოვთვლით. მთავარია, მოხელე მოქმედებდეს კანონგარეშე იმ ანაზღაურების სანაცვლოდ, რომელსაც სისხლის სამართლის კოდექსი უწოდებს ქრთამს.

სსკ 338-339-ე მუხლებით დამდგარი შედეგები შეიძლება მოჰყვეს, რომელიმე ქვემოჩამოთვლილ ქმედებას:

- ოფიციალურ დოკუმენტებში წინასწარ გათვალისწინებული არასწორი ჩანაწერების შეტანა;
- უკანონო ბრძანებებისა და განკარგულებების გამოცემა;
- სხვა პირთა არაკანონიერ ოფიციალურ დოკუმენტებში წინასწარ გათვალისწინებული ყალბი ჩანაწერების შეტანა;
- სხვა პირთა მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებების დაფარვა;
- სატენდერო პირობების მორგება;
- სხვა:

ჩამონათვალი არასრულია, კანონი ვერ იქნება კაზუისტიკური და ყოველ ფაქტს ვერ აღწერს მუხლში, თუმცა ქმედების ანალიზის შედეგად, უპირობოდ გახდება შესაძლებელი დაკვალიფიცირდეს იგი და ყოველი მათგანის (და არა მხოლოდ) ჩადენა შესაძლებელია განაჩენი დადგეს სსკ 338-ე და 339-ე მუხლით, თუ დადგინდება, რომ მოხელემ მიიღო უკანონო მატერიალური სარგებელი ქმედების ანდა უმოქმედობის სანაცვლოდ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსი ამბობს, რომ “მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პიდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა, ასევე ასეთის

თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღება თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან, ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე, განახორციელოს სამსახურეობრივი მფარველობა.“<sup>1</sup>

ნორმის დისპოზიციაში ნახსენებია და ნაშრომშიც აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი, თუ რაში გამოიხატება უმოქმედობა. უმოქმედობა სახეზეა, როდესაც ხდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული არამართლზომიერი ბრალეული ქმედება და სათანადო რეაგირებას (განცხადების მიღებას) არ ახდენს საგამომიებო ორგანოს უფლებამოსილი პირი.

---

<sup>1</sup> საქართველოს კანონი სისხლის სამართლის კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

### თავი 3. ისტორიული ექსკურსი

ძველი ქართული სამართლის ძეგლები მოწმობენ, რომ მექრთამეობა საქართველოში ყოველთვის მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენდა. ქართველი სჯულმდებლები მას ქვეყნის წინსვლის დამამუხრუჭებელ მოვლენად მიიჩნევდნენ და მკაცრად ებრძოდნენ. ქრთამის ქვეშ იგულისხმებოდა, როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფთა მიერ უკანონო მატერიალური გასამრჯელოს მიღება, ასევე გასამრჯელოს სანაცვლოდ მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა, დამნაშავისათვის თავდებად დადგომა და ა. შ აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი ეროვნული და უცხოური სამართლის ძეგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მექრთამე მოსამართლეთა წინააღმდეგ ბრძოლას.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტებში, რომელიც ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე ადრეულ სამართლის ძეგლს წარმოადგენს,<sup>2</sup> „...სამართლის წიგნის მოთხოვნით, მოსამართლემ საქმის განხილვისას ანგარიში არავის უნდა გაუწიოს, არავის ხათრი მოიდოს და რაც მთავარია „ქრთამის ქადაგებისთვის“ ე.ი. ქრთამის შეპირები-სთვის სიმართლეს არ უნდა უღალატოს „მართალი სამართალი“ უნდა გააჩინოს“.<sup>3</sup>

#### 3.1 არაქართული სამართლის ძეგლები ქრთამთან მიმართებაში

ისტორიული დოკუმენტები მოწმობენ, რომ არაქართული სამართლის წიგნთაგან ყველაზე ხშირად მოსამართლენი ბერძნულ სამართალს მიმართავდნენ.<sup>4</sup> ბერძნული სამართალი კი მექრთამე მოსამართლეს მკაცრად სჯიდა. მას დაკავებული თანამდებობიდან ათავისუფლებდნენ, თმებს კრეჭდნენ, პირს შავად უღებავდნენ,

<sup>2</sup> გ. ღლონტი, ი. ლაგვილავა, ზ. მარუაშვილი, ე. წიკლაური, კორუფცია საქართველოში და კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბილისი, 2011, გვ. 263

<sup>3</sup> ლ. აბრამიშვილი, უქრთამო, პატიოსანი მოსამართლის სახე ძველ ქართულ სამართალში. ადამიანი და კონსტიტუცია, N3, 2004, გვ. 93-94.

<sup>4</sup> გ. ღლონტი, ი. ლაგვილავა, ზ. მარუაშვილი, ე. წიკლაური, კორუფცია საქართველოში და კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბილისი, 2011, გვ. 265

თავზე ცხვრის ფაშვს აცმევდნენ, დამამცირებლად ვირზე შესმულს ხალხმრავალ ადგილებში ატარებდნენ თანაც მის წინ მიმავალი კაცი იყვირება, მოდით ნახეთ მექრთამე სიმართლის მსაჯულიო.<sup>5</sup>

თვალს თუ გადავაკლებთ მსოფლიო ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ კორუფცია უძველესი დროიდან მძიმე დანაშაულად ითვლებოდა. ხამურაბის კანონების თანახმად, მექრთამე მოსამართლეებს დაკავებული თანამდებობიდან ათავისუფლებდნენ, რომლებიც ამ თანამდებობას ვეღარასდროს იბრუნებდნენ, ძველ რომში, მართალია, სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალთან შედარებით ნაკლებად განვითარებული იყო, მაგრამ მექრთამეობას სასტიკად ებრძოდნენ, კერძოდ, მექრთამე მოსამართლეებს სიკვდილით სჯიდნენ.<sup>6</sup>

სულხან საბა ორბელიანი ქრთამს განმარტავდა როგორც „საცოდავ ძღვენს“<sup>7</sup> უნდა ივარაუდებოდეს, რომ ამ შემთხვევაში საცოდავი აღნიშნავდა ძღვენს ცოდვის ჩადენისათვის.

### 3.2 რუსეთისა და საკავშირო კანონმდებლობის გავლენა სამოხელეო დანაშაულის შესაბამის მუხლებზე

1921 წლიდან საქართველოს კანონმდებლობა ძირითადად ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ საკავშირო კანონმდებლობის იდენტურად ვითარდებოდა, იგივე უნდა ითქვას სისხლის სამართლის კანონმდებლობაზეც.<sup>8</sup>

საქართველოს სსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში თანამდებობრივი დანაშაულები ცალკე, მეორე თავში იყო გაერთიანებული. აქ მოთავსებული იყო დანაშაულთა შემადგენლობები, როგორც არის ხელისუფლების ბოროტად გამოყენება (მუხლი 108), ხელისუფლების გადამეტება (მუხლი 109), ქრთამის აღება (მუხლი 117), ქრთამის მიცემა (მუხლი 117<sup>1</sup>) და ქრთამის პროვოკაცია (ამ უკანასკნელ საკითხს ნაშრომში დეტალურად გავივლით - ზ.ყ.),

<sup>5</sup> ზ. მაცაბერიძე, კორუფციასთან ბრძოლის კრიმინოლოგიური და სისხლის სამართლებრივი ღონისძიებები. თბილისი, ბაკმი, 2009

<sup>6</sup> იქვე, გვ. 44

<sup>7</sup> ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. 2, თბილისი, მერიდიანი, 1993

<sup>8</sup> გ. დლონტი, ი. ლაგვილავა, ზ. მარუაშვილი, ე. წიკლაური, კორუფცია საქართველოში და კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბილისი, 2011, გვ. 269

სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მიხედვით, „სახელმწიფო, საკავშირო ან საზოგადოებრივ სამსახურში მყოფი პირის მიერ, პირადად ან შუაკაცის შემწეობით, ამა თუ იმ სახით ქრთამის მიღება ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ისეთი მოქმედების შესრულებისათვის, ან შეუსრულებლობისათვის, რაც ამ პირის სამსახურის მოვალეობას შეადგენს“, ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. მუხლს აგრეთვე ჰქონდა დამამძიმებელი გარემოებები, როგორცაა პასუხსაგები მდგომარეობა ქრთამის მიმღები თანამდებობის პირისა, ქონებრივი ზარალი, რომელიც ქრთამის შედეგად სახელმწიფოს მოუვიდა ან შეიძლებოდა მოსვლოდა, ქრთამისათვის გამოძალვა.<sup>9</sup>

აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნებისმიერი დარგი, მათ შორის სამართალი, განვითარებადი დარგია და შესაბამისად, ყოველი მომდევნო რეგულაცია (დროში მომდევნო - ზ.ყ.) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უკეთესია და უფრო სრულყოფილად ასახავს დანაშაულებრივ ქმედებას ერთი და პოულობს სამართლიან და ლოგიკურ სასჯელს მეორე. შესაბამისად, გონივრულია, რომ მიმოვიხილოთ დღეს მოქმედი სამართლებრივი ნორმები, მოვახდინოთ მათი იურიდიული ანალიზი და ვისაუბროთ პრაქტიკაში მათ გამოყენებაზე, საიმისოდ, რომ ნაშრომის ძირითად საკითხს, ქრთამის სამართლებრივი კვალიფიკაციის პრობლემატიკას არ გავცდეთ და ვუპასუხოთ საკითხის ირგვლივ წარმოშობილ ნებისმიერ კითხვას.

---

<sup>9</sup> გ. ლლონტი, ი. ლაგვილავა, ზ. მარუაშვილი, ე. წიკლაური, იქვე, გვ. 269



## თავი 4. ქმედების იურიდიული ანალიზი

მექრთამეობა ზოგადი ცნებაა და მოიცავს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ორ დანაშაულს, ქრთამის აღებას და მიცემას. რთულია დაეთანხმო იმ მოსაზრებას, რომ ქრთამის ამღები და ქრთამის მიმცემი ერთი და იმავე დანაშაულის თანაამსრულებელია. მექრთამეობა კი არის ერთიანი, ორმხრივი დანაშაული-ქრთამის აღება-მიცემა.<sup>10</sup>

მიმაჩნია, რომ ქრთამის აღება და მიცემა დამოუკიდებელ დანაშაულებს წარმოადგენენ. ისინი მოთავსებულნი არიან სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებში. ობიექტურად, ეს დანაშაული სხვადასხვა ქმედებებში გამოიხატება. ქრთამის ამღების მიერ ჩადენილი დანაშაული მის სამსახურეობრივ მდგომარეობასთანაა დაკავშირებული, რასაც ვერ ვიტყვით ქრთამის მიმცემზე. გარდა ამისა, ქრთამის აღების ამსრულებელი სპეციალურია, იგი აუცილებლად მოხელე უნდა იყოს. ქრთამის მიმცემის ამსრულებელს ეს ნიშანი არ ახასიათებს. თუ ზემოთქმულს იმასაც დავუმატებთ, რომ კანონის ამჟამინდელი რედაქციით, თითოეულ მათგანს შეუღძლია ბოლომდე განახორციელოს დანაშაულის შემადგენლობა მეორის მონაწილეობის გარეშე, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ქრთამის აღება და მიცემა არა ერთიან, არამედ დამოუკიდებელ დანაშაულებს წარმოადგენენ.<sup>11</sup>

„სხვა სამოხელეო დანაშაულისაგან განსხვავებით, ქრთამის მიცემის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც მოხელე, ისე კერძო პირიც. ამ დანაშაულის მოთავსება სამოხელეო დანაშაულის თავში იმით არის განპირობებული, რომ მექრთამეობა ორმხრივი დანაშაულია და ქრთამის აღების სუბიექტის არსებობა გულისხმობს ქრთამის მიცემის სუბიექტის არსებობასაც, მამასადამე, მექრთამეობის დროს აუცილებელ თანამონაწილეობასთან გვაქვს საქმე.“<sup>12</sup>

ქრთამის მიმცემი სუბიექტისადმი ბრალის შერაცხვა რამოდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. პირველი ეს არის ის, რომ უნდა იყოს შერაცხადი საქართველოს

<sup>10</sup> ვ. მაყაშვილი, გ. ტყეშელაძე, პასუხისმგებლობა მექრთამეობისთვის, თბილისი, 1964, გვ. 34

<sup>11</sup> გ. ლლონტი, ი. ლაგვილავა, ზ. მარუაშვილი, ე. წიკლაური, კორუფცია საქართველოში და კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბილისი, 2011, გვ. 269

<sup>12</sup> მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბილისი, მერიდიანი, 2005

სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად. კანონი ამბობს, რომ ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი. (სსკ.მუხლი 33), თუმცა ცხადია, რომ თუ ქრთამის მიმცემიც მოხელეა, მისი ასაკი განისაზღვრება შესაბამისად საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლით ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ასაკით 18 წელი, სხვა შემთხვევაში კი 21 წლიდან.<sup>13</sup>

ქრთამის მიმცემი ყოველთვის მოქმედებს პირდაპირი განზრახვით, მის მიერ ჩადენილი დანაშაული ფორმალურია და შეთავაზების მომენტშივე შემდგარ დანაშაულად ითვლება. უფრო ზუსტად ქრთამის აღების/მიცემის სუბიექტური მხარე, პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი მოქმედების არამართლზომიერება.” მექრთამეობა ანგარებითი ხასიათის მოქმედებაა და მაშასადამე, თანამდებობის პირის გამდიდრების მომენტი ამ დანაშაულის არსს წამოადგენს.”<sup>14</sup>

---

<sup>13</sup> საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, 27/10/2015  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098>

<sup>14</sup>ვ. მაყაშვილი, გ. ტყეშელიაძე, პასუხისმგებლობა მექრთამეობისთვის, თბილისი, 1964, გვ. 44

## თავი 5. ქრთამის ადგილი სისხლის სამართლის კოდექსში

სისხლის სამართლის კოდექსში ქრთამის მიცემის შესახებ მუხლი შეყვანილია სამოხელეო დანაშაულთა თავში და მოთავსებულია იმ მუხლის გვერდით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ქრთამის აღებისთვის, ეს მაშინ, როცა ქრთამის მიცემის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხადი პირი და არა მხოლოდ მოხელე. კანონმდებლის ამგვარი გადაწყვეტილება საკანონმდებლო ტექნიკის მოსაზრებით უნდა აიხსნას და არა იმით, რომ აღება და მიცემა ერთიან, სრულ, ორმხრივ დანაშაულს წარმოადგენს.<sup>15</sup> ამ თვალსაზრისის მართებულობაზე არც ის გარემოება მიუთითებს, რომ ქრთამის აღება და მიცემა გაერთიანებულია მექრთამეობის ერთიან ცნებაში. როგორც აღნიშნული იყო, მექრთამეობა ზოგადი ცნებაა და ახსნაც ეს არის.

### 5.1 ქრთამის საგანი

ქრთამის საგანი შეიძლება იყოს ფული, ძვირფასეულობა და ნებისმიერი მატერიალური ნივთი, რომელსაც გაცვლითი ღირებულება გააჩნია, იქნება ეს ავეჯი, მიწის ნაკვეთი, მანქანა, სასოფლო სამეურნეო პროდუქტი თუ სხვ. „ქრთამის საგნად არ ჩაითვლება საქართველოსა და უცხო სახელმწიფოების ფული, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში არ არის, რაც შეეხება ნინიზმატიკურ ფასეულობას, იგი ამ მუხლით ფულად არ ჩაითვლება, მაგრამ შეიძლება ქრთამის საგანი გახდეს, როგორც მუხლში მითითებული „სხვა ქონება“.<sup>16</sup>

სსკ 338-ე მუხლში აგრეთვე ვხვდებით ქონებრივი სარგებლის ცნებას, როგორც ქრთამის საგანს. აქ იგულისხმება მოხელისათვის უფასოდ ისეთი სამსახურის გაწევა, რაშიც მას ფული უნდა გადაეხადა. მაგალითად, აგარაკის ან მანქანის გადაცემა დროებითი გამოყენებისათვის, სარემონტო სამუშაოების ჩატარება... ტურისტული

<sup>15</sup> მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბილისი, მერიდიანი, 2005, გვ. 157

<sup>16</sup> იქვე, გვ. 157

მომსახურება... ქრთამის საგანი იქნება ნებისმიერი სახის მომსახურება, თუ იგი წარმოადგენს საზღაურს მოხელის მიერ განხორციელებული მოქმედებისათვის.<sup>17</sup>

## 5.2 ქრთამი, რომელსაც კანონმდებელი სავარაუდოდ ვერ აღიქვამს ქრთამად

თუ ქრთამის აღება წინასწარ არ იყო დათქმული და საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, მოხელეს არ შეეძლო წინასწარ სცოდნოდა, რომ მის მიერ განხორციელებული ქმედებისათვის ჯილდოს გადასცემდნენ, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს დანაშაულის (ქრთამის აღების) შემადგენლობას, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონის ფარგლებში მოქმედებდა. შემდგომში მისი დასაჩუქრება განსაზღვრულ პირობათა გათვალისწინებით, განხილულ უნდა იქნას არა როგორც ქრთამის აღება, არამედ, როგორც კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება.<sup>18</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ განსაზღვრავს ქრთამის მინიმალურ ოდენობას, თუმცა საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ მიუთითებს, იმას რომ თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, უფლება აქვს მიიღოს საჩუქარი, თუ ერთი წლის განმავლობაში მიღებული სასაჩუქრის საერთო ღირებულება არ აღემატება საარსებო მინიმუმის ოცმაგ ოდენობას.<sup>19</sup>

რაც შეეხება კანონის მოქმედ ვერსიას, საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მეხუთე მუხლის მე-3 ნაწილი ამბობს, რომ საჯარო მოსამსახურის ოჯახის თითოეული წევრის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება ოჯახის თითოეულ წევრზე არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა - ხუთას ლარს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.<sup>20</sup>

<sup>17</sup> მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბილისი, მერიდიანი, 2005, გვ. 272

<sup>18</sup> იქვე, გვ. 142

<sup>19</sup> საქართველოს კანონი საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ 17/11/1997, მუხლი 12 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550>

<sup>20</sup> საქართველოს კანონი საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ 17/11/1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550>

## თავი 6. ქრთამში გამოვლენილი კორუფციის სისხლისსამართლებრივი ასპექტები

ქრთამი განეკუთვნება კორუფციულ დელიქტს, მისი ობიექტური შემადგენლობის ელემენტების თავისებურებათა დახასიათებისას, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ამგვარი მოქმედებები ხორციელდება როგორც უშუალოდ მოქმედებით, აგრეთვე პასიური უმოქმედობით. კორუფციული დელიქტის დროს, კვალიფიკაციისას, გათვალისწინებული უნდა იქნას დანაშაულის (ქმედების) ობიექტური მხარის ყველა აუცილებელი ელემენტი (ქმედების შემადგენლობა, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის) და ქმედება მხოლოდ ფორმალურ შემადგენლობაში.

პირველ შემთხვევაში (ქრთამი ქმედებისათვის) განეკუთვნება სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე, 333-ე და 320-ე მუხლები) ხოლო პასიური უმოქმედობის დამახასიათებელი ნიშნებია ზეგავლენით ვაჭრობა, კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება, სამსახურეობრივი სიყალბე. ყველა მათგანი თავის არსში გულისხმობს მოქმედებისაგან თავის შეკავებას, შედეგიც, რომელიც დგება მიმართულია იქით, რომ არ მოხდეს რეაგირება კონკრეტულ ქმედებაზე უფლებამოსილი პირის მხრიდან.

ითვლება, რომ კორუფცია ძირითადად ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, თუმცა არც ისე მცირე დოზითაა იგი წარმოდგენილი ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებში. ასეთ დროს, ელიტური კორუფცია აქტუალური და მზარდი ხდება მუდმივად, თუ არ არსებობს სახელმწიფოს ნება, აღმოიფხვრას ქმედება და მეორეს მხრივ საშუალება, მოსპოს ქრთამის აღების მოტივაცია მაღალი სოციალური გარანტიების მიცემით მოხელეთათვის.

ქრთამთან (და არა მხოლოდ) მიმართებაში, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ქმედების მიჩნევისათვის, აუცილებელია ზიანისა და მისგან ნაწარმოები საზოგადოებრივი საშიშროების არსებობა, თუმცაღა დანაშაულის პროვოკაციის შემთხვევაში, შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივი საშიშროება

აღკვეთით და რეალურად დაზარალებული არც არსებობდეს (პირობითად, მოხელისათვის თანხის გადაცემისას, სამართალდამცავი ორგანოს მიერ გამოყენებულია კუპიურები, რომლებიც არის დანომრილი და აღებულია საბიუჯეტო სახსრებიდან სწორედ ამ მიზნით).

თანამდებობის პირი, რომელიც არაკანონიერი გზით იღებს და ფაქტობრივად ეუფლება გარკვეულ სიკეთეს, ობიექტურად საშიში ხდება სისტემისთვის, რომლის ელემენტსაც თვითონ წარმოადგენს, როგორც კორუმპირებული ჩინოვნიკი.<sup>21</sup> ქრთამის აღება და მიცემა, პირველ რიგში სოციალური საშიშროების მატარებელია, რაც უპირობოდ საფრთხეს უქმნის სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა-არარსებობის საკითხს, მეორეს მხრივ კი ნერგავს უკანონობას, რომელიც თავის მხრივ ვერ იქნებოდა სახელმწიფოებრივი პერსპექტივის მატარებელი სათანადო რეგულაციების პირობებში.

## 6.1 ქრთამის ინსტიტუტის დახასიათება

სსკ 338-ე მუხლი (ქრთამის აღება) ყველაზე მძიმე დანაშაულია სამოხელეო დანაშაულთა თავში. ქრთამი გადაცემულ შეიძლება იქნას, როგორც პირდაპირ თანამდებობის პირისთვის, ისე არაპირდაპირ, ანუ შუამავლის მეშვეობით, მაგრამ ამ შემთხვევაში უფლებამოსილი პირის თანხმობის საფუძველზე. გადაცემა, როგორც ფაქტი შეიძლება ატარებდეს, როგორც აშკარა, ისე შენიღბულ ხასიათს. ვლინდებოდეს რაიმე მატერიალურ სიკეთეში ან არამატერიალურ ფასეულობებში (პირობითად, მოხელეს არ ეკრძალება საგანმანათლებლო საქმიანობა, მან შეიძლება ქრთამის სახით მიიღოს არჩატარებულ ლექციაში ანაზღაურება).<sup>22</sup>

ქრთამის მოცემულობის დადგენისას, აუცილებლად უნდა იქნას გაანალიზებული ქრთამის მიმღების ინტერესი. კერძოდ: ქრთამის მიმღებმა თავისი მოქმედებით ქრთამის მიმცემის კანონიერ ინტერესებს უნდა შეუქმნას საფრთხე, ან

<sup>21</sup> მ. ზუხრა, კორუფციასთან ბრძოლის კრიმინოლოგიური და სისხლის სამართლებრივი ღონისძიებები. თბილისი, ბაკმი, 2009, გვ. 105

<sup>22</sup> გ. ლლონტი, ი. ლაგვილავა, ზ. მარუაშვილი, ე. წიკლაური, კორუფცია საქართველოში და კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბილისი, 2011

მეორეს მხრივ, შეთავაზება უნდა მოდიოდეს უკანონო პრივილეგიების მისაღებად ქრთამის მიმცემისაგან და ისვე უნდა იყოს როგორც ინიციატორი, ასევე ქრთამის მიმცემი.

ქრთამს სხვადასხვა გამოვლინებები აქვს, მაგალითად თუ მოვიყვანთ ქრთამის სახეებს, ერთერთი პირველია „წილში ჩაჯდომა“ მეწარმის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულების (ვთქვათ, საწარმოსთვის შეღავათებს დაწესების) სანაცვლოდ. ამგვარი შემთხვევები უნდა განვასხვავოთ სსკ-ის 337-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობისგან. როგორც ცნობილია, მოხელეს არა აქვს სამეწარმეო საქმიანობის უფლება. სსკ-ის 337-ე მუხლში ლაპარაკია მოხელის მიერ პირადად ან სხვისი მეშვეობით საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების დაარსებაზე სამეწარმეო საქმიანობის მიზნით, ან მის მართვაში მონაწილეობაზე კანონით დადგენილი აკრძალვის მიუხედავად. თუ ეს დაკავშირებულია ამ საწარმოსათვის უკანონო შეღავათის ან უპირატესობის დაწესებასთან, ან მის სხვა ფორმით მფარველობასთან, ქრთამის აღების დროს კი მოხელე მეწარმის სასარგებლოდ რაღაც მოქმედების შესრულების სანაცვლოდ „წილში უჯდება“ ამ უკანასკნელს.<sup>23</sup>

---

<sup>23</sup> გ. დლონტი, ი. ლაგვილავა, ზ. მარუაშვილი, ე. წიკლაური, იქვე, გვ. 272.

## თავი 7. მტკიცების ტვირთი

ძირეულ საკითხს წარმოადგენს იმ ფაქტზე ხაზგასმა, რომ მტკიცების ტვირთი ყოველთვის სახელმწიფოს აწევს, შესაბამისად, თავდაპირველი დაკვალიფიცირება სწორედ ბრალდების მხარეს ეკუთვნის, თუმცა, პრაქტიკაში არაერთი შემთხვევა გვქონია, როდესაც სასამართლოს მიერ მოხდა ქმედების გადაკვალიფიცირება, რაც გამოიწვია პროცესის მიმდინარეობის დროს მოწმის თუნდაც ერთმა სიტყვამ, რომლის მიხედვითაც სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოიკვეთა სხვა დანაშაულის ნიშნები. ხაზს ვუსვამ, რომ გამოძიებაში მიცემული მოწმის ჩვენება შეიძლება უმნიშვნელოდ, მაგრამ იმგვარად შეიცვალოს, რომ სხვა დანაშაულის კვალიფიკაცია მოგვცეს და ეს იყოს განმაპრობებელი გადაკვალიფიცირებისა.

ნაშრომში მიმოვიხილავთ სასამართლო პრაქტიკას და ამ პრაქტიკის მეშვეობით ყურადღებას გავამახვილებთ შემთხვევებზე, როდესაც მოხდა გადაკვალიფიცირება ქმედების.

### 7.1 ქრთამი, როგორც ფორმალური დანაშაული

პირს მოხელემ მოსთხოვა ქრთამი და მის მიერ წინასწარ იქნა განცხადებული საგამოძიებო ორგანოში აღნიშნულის შესახებ, რომელსაც უფლება აქვს დაიწყოს გამოძიება და ქრთამის გადაცემა. ქრთამის ამლების დაკავების მიზნიდან გამომდინარე, საგამოძიებო ორგანო ერთი შეხედვით ახდენს პროვოკაციას (მაგრამ ეს არ არის პროვოკაცია, რამდენადაც დანაშაული უკვე მომხდარია და საგამოძიებო ორგანოს ჩართვის შედეგად განხორციელებული ქმედებები უკავშირდება მხოლოდ დანაშაულის გახსნას და მასზე დამატებითი სამართლებრივი შედეგი აღარ ხდება. პროვოცირებას ადგილი მაშინ აქვს, როდესაც პროვოცირების გარეშე დანაშაული არ მოხდებოდა) უნდა აღინიშნოს, რომ ქრთამი ფორმალური დანაშაულია და რომ არა სასამართლო მტკიცების



ტვირთი, რომელიც მზრალდებელს აწევს, შესრულების პროვოცირება საჭირო არ იქნებოდა.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, დანაშაული უკვე მომხდარია და საქმეში ერთვება საგამომიებო ორგანო, ქრთამის გადაცემის იმიტაცია ხდება, შესაბამისად მატერიალური ფასეულობა უნდა დაუბრუნდეს მფლობელს (ამ შემთხვევაში სახელმწიფოს), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იმიტაციას ადგილი არ აქვს (ნებაყოფლობით, საგამომიებო ორგანოსაგან დამოუკიდებლად) მოქმედებენ ქრთამის ამღებიც და მიმცემიც, მატერიალური ფასეულობა (ფული, ფასიანი ქაღალდი) დანაშაულის საგანს წარმოადგენს და ვერ დაუბრუნდება მფლობელს (ქრთამის მიმცემს).

ქრთამთან მიმართებაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმრავლეს შემთხვევაში უშუალოდ ქმედების განხორციელებას და არა შედეგს უკავშირდება. აღნიშნულთან მიმართებაში, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება დასკვნას იმის თაობაზე, რომ მეტწილ კორუფციულ დანაშაულებრივ ხელყოფათა მიმართებაში, სამართალმწარმოებელ ორგანოს არ მოეთხოვება დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის დადგენა. სისხლის სამართლის ნორმის ამგვარი კონსტრუქცია თავისი სიცხადიდან გამომდინარე მისაღებია უფრო სამართალგამოყენების თვალსაზრისით.

## 7.2 ფორმალური მუხლები სამოხელეო დანაშაულში

ცალსახაა ის გარემოება, რომ თავისი შინაარსით, სამოხელეო დანაშაულში სსკ 221-ე, 338-ე, 339-ე და 339<sup>1</sup> მუხლები ფორმალური შემადგენობისაა იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ შემადგენლობებში კანონმდებელი სისხლისსამართლებრივი რეგულაციის სფეროში აქცევს თავად მოსყიდვის საგნის შეთავაზებისა და დაპირების შემთხვევებს, შესაბამისად, ვერბალური დანაშაული გვაქვს სახეზე. კანონმდებელმა მოახდინა ქმედების კრიმინალიზება დასაწყისშივე.

ზუხრა მაცაბერიძე თავის ნაშრომში კორუფციასთან ბრძოლის კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები ეწინააღმდეგება

აღნიშნულ მიდგომას და ამბობს, რომ ამ დანაშაულების ფორმალურობა გაუმართლებელია, რადგან: „ქრთამის აღება ან მიცემა დამთავრებულია ქრთამის მოთხოვნის ან შეთავაზების მიღების მომენტიდან, ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი მოხელე ამ ქმედების განხორციელების (პირობის დადების) შემდეგ გადაიფიქრებს ქრთამის აღებას და უარს ეტყვის ქრთამის მიმცემს მის აღებაზე, იგი მაინც არ გათავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, რაც მას უკარგავს სტიმულს ხელი აიღოს მის განხორციელებაზე. ავტორი ამბობს, რომ სრულიად უსამართლოდ შეზღუდა კანონმა მოხელე, ხელი აიღოს ქრთამის აღებაზე, რადგან იცის, რომ ის მაინც დაისჯება.“<sup>24</sup>

---

<sup>24</sup> მ. ზუხრა, კორუფციასთან ბრძოლის კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები. თბილისი, ბაკმი, 2009, გვ. 130

## თავი 8. საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები

ევროსაბჭოს მიერ 1999 წლის 27 იანვარს მიღებული „კორუფციაზე სისხლის სამართლის“<sup>25</sup> კონვენცია ცამეტი სახის კორუფციულ დანაშაულთა შემადგენლობას აყალიბებს, თუ მხედველობაში მივიღებთ აღნიშნულ აკრძალვათა იურიდიულ ბუნებას, მათი საკმაო რაოდენობის მიუხედავად, ამგვარი მრავალფეროვნება მოჩვენებითია (კაზუისტიკურ კვალიფიკაციებს აქვს ადგილი, რაც ჩემი აზრით საჯარო-სამართლებრივ სივრცეში კანონისმიერი დათქმიდან გამომდინარე უაზრო არ უნდა იყოს) და შესაძლებელია დაყვანილ იქნას ქრთამის აღება-მიცემაზე.

კონვენციის მე-2 მუხლი მიუთითებს, რომ ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო იყოს ქვეყნის შიდა სამართალში იმ ქმედებების სისხლისსამართლებრივ დანაშაულთა დასადგენად, რომელიც გამოიხატება ნებისმიერი პირის მიერ განზრახ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მისი რომელიმე სახელმწიფო მოხელისთვის, ამ სახელმწიფო მოხელის ან სხვა პირის ინტერესებისაკენ მიმართული, გაუმართლებელი უპირატესობის მიცემაში, ან ამ უპირატესობის დაპირებასა თუ შეთავაზებაში, მისთვის ან სხვისთვის, ამა თუ იმ მოქმედების შესრულების ან სამსახურეობრივი ფუნქციით გათვალისწინებული ქმედებისაგან თავის შეკავების სანაცვლოდ.

შესაძლებელია ზედაპირულ მსჯელობად ჟღერდეს, მაგრამ აქტიური მოსყიდვა, იგივე თანამდებობის პირის მოსყიდვის, ტრადიციული ქრთამის მიცემის ტოლფასია და ამ ორს შორის ვიმედოვნებ, მხოლოდ ტერმინოლოგიური სხვაობაა და მეტი არაფერი.

---

<sup>25</sup> კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 14 დეკემბრის N 3956 დადგენილებით [www.police.ge](http://www.police.ge)

## თავი 9. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა

იურიდიული პირის პასუხისმგებლობა ქრთამის მიცემისა და ზეგავლენით ვაჭრობისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია, მაგრამ ეს შეეხება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს. მეორეს მხრივ, არსებობს საკმაოდ განსხვავებული (ვგულისხმობ სახელმწიფო შესყიდვებს) საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახელმწიფო ორგანოების მიერ ქრთამის აღების უამრავი შემთხვევა. შესაბამისად, კანონმდებელმა უნდა დაარეგულიროს საკითხი იმ კუთხით, რომ მარტივად შესაძლებელი მოხდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოსყიდვაც, მაგალითად ტენდერისათვის კონკრეტულ კერძო სამართლის იურიდიულ პირზე პირობების მორგების მოთხოვნით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული პირი არის ფიქცია და ქმედების განმახორციელებლები, ყოველთვის მოხელეები არიან.

## თავი 10. კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო მექანიზმები

1996 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კორუფციასთან ბრძოლის რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ყურადღებით განიხილონ კორუფციის საერთაშორისო ასპექტებთან დაკავშირებული პრობლემები, განსაკუთრებით კორპორაციული ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ საერთაშორისო-ეკონომიკურ საქმიანობასთან მიმართებაში.<sup>26</sup>

ზემოაღნიშნულ საკითხს შეეხება აგრეთვე გაეროს დეკლარაცია „საერთაშორისო კომერციულ ოპერაციებში კორუფციასთან და მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ“ 1996წ., რომლის თანახმადაც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უცხო სახელმწიფოს თანამდებობის პირთა მექრთამეობა განიხილოს, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული და გააუქმოს დაბეგრისაგან იმ თანხების გათავისუფლება, რომლებიც ქრთამის სახით იქნა მიცემული ნებისმიერი კერძო ან სახელმწიფო კორპორაციის, გაეროს წევრი სახელმწიფოს, ფიზიკური პირის ან ნებისმიერი ჩინოვნიკის ან ქვეყნის წარმომადგენლობის ორგანოში არჩეული პირის მიერ. „სახელმწიფო თანამდებობის პირთა ქცევის საერთაშორისო კოდექსი“<sup>27</sup> ითვალისწინებს სახელმწიფო თანამდებობის პირთა საქმიანობის პრინციპებს. თანამდებობის პირთა ინტერესების კოლიზიის დროს სახელმწიფო არ დაუშვებს მოხელეს ან მისი ოჯახის მიერ პირადი სარგებლობის მიღებას. სახელმწიფო თანამდებობის პირთა მოვალეობებსა და კერძო ინტერესებს შორის, შესაძლო ან მოსალოდნელი კოლიზიის დროს, სახელმწიფო მოქმედებს იმ ზომების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია ინტერესთა კოლიზიის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად. აქვე ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო თანამდებობის მქონე პირები, ოფიციალური ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისთვის, თავიანთ სამსახურეობრივ მდგომარეობას არ იყენებენ. აგრეთვე არ იყენებენ ისინი ადრინდელ სამსახურეობრივ მდგომარეობას თანამდებობიდან

<sup>26</sup> united nations declaration against corruption and bribery in international commercial transactions. სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტის კორუფციის სახელმძღვანელო, თბილისი, 2009, გვ. 57

<sup>27</sup> გ. ღლონტი, მ. მოსულიშვილი, პ. დაუთაშვილი, კორუფცია, სახელმძღვანელო, თბილისი, სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009, გვ. 57

გადადგომის შემდეგ. ზემოაღნიშნული კონვენცია ქმედითი მექანიზმი ნაკლებად არის, რამდენადაც წევრი სახელმწიფოებისათვის იგი სარეკომენდაციო ხასიათისაა.

ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, რომელთა რატიფიცირებითაც სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო ანტიკორუფციული საქმიანობა, არის გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ, კორუფციასთან ბრძოლის ევროპის საბჭოს კონვენცია,<sup>28</sup> ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კონვენცია საერთაშორისო საქმიანი ოპერაციების ჩატარების დროს უცხოური სახელმწიფო თანამდებობის პირთა მექრთამეობასთან ბრძოლის წინააღმდეგ, მსოფლიო ბანკი კორუფციის წინააღმდეგ. ყველა მათგანის დეტალური მიმოხილვა აგვაცდენს განსახილველ საკითხს, ამიტომ, მოკლე რეზიუმის სახით მკითხველს ავუხსნი, რომ ძირითადი პრინციპი, გახლავთ ის, რომ მოხდეს ნორმების ინკორპორირება ადგილობრივ კანონმდებლობაში, შემდეგ კი მათი აღსრულების მექანიზმების დანერგვა. ყოველივე ზემოაღნიშნული კი მიგვიყვანს ანტიკორუფციულ სტრატეგიასთან, რომელიც ქვეყანას უნდა გააჩნდეს, სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დასჯადობის ზრდასთან, სამოხელეო დანაშაულის ნაწილში და სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი (განსაკუთრებით საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, ადმინისტრაციული კოდექსი, საჯარო დაწესებულებებში ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) იმ დებულებათა ჩანაწერებით, რომლებიც მოახდენენ ხელისუფლების თვითშეზღუდვას და მოხელეებს, ან და მათთან გათანაბრებულ პირებს, პირველ რიგში ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას მოუსპობენ მექრთამეობასთან დაკავშირებით და დაანახებენ მათ მექრთამეობას, როგორც დასჯად ქმედებას, რომელსაც მოჰყვება მათი კარიერული სიკვდილი.

---

<sup>28</sup> კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 14 დეკემბრის N 3956 დადგენილებით, [www.police.ge](http://www.police.ge)

## თავი 11. სამართლებრივი სახელმწიფო და ქრთამი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ურთიერთდამოკიდებულია სახელმწიფოს ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ და ქრთამის კვალიფიკაციის შესახებ სამართალწარმოება. კორუფციის დროს აუცილებელი მახასიათებელია ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ქცევის სტანდარტების უარყოფა არაკანონიერი პირადი სარგებლის მიღების მიზნით. სასამართლოს როლიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სწორად მოხდეს დაკვალიფიცირება, მომხდარი დანაშაული არის ქრთამის აღება თუ ზეგავლენით ვაჭრობა. ორივე მათგანი თავისი არსით კორუფციული მოვლენაა.

კორუფცია უფრო მეტად სოციალური მოვლენაა, რომელიც მდგომარეობს ხელისუფლების გახრწნაში, როცა სახელმწიფო (მუნიციპალური) მოსამსახურე და სხვა პირები, რომლებიც უფლებამოსილი არიან შეასრულონ სახელმწიფო ფუნქციები, თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, სტატუსს და დაკავებულ თანამდებობას იყენებენ ანგარების მიზნით, პირადი გამდიდრების ან სხვა ინტერესებისათვის. მისი გამოვლინებები კი ზეგავლენით ვაჭრობა და ქრთამი, სამართლებრივ ჩარჩოში ექცევა და შესაბამისად, თუ ვეცდებით, რომ პროკურატურა, სასამართლო, საზედამხედველო ორგანოები იმუშავენ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და ობიექტურად, მოხდება ბრალის ფიქსაცია და შემდგომი მტკიცება, საბოლოოდ ხელისუფლების ხრწნის ტენდენცია შესუსტდება.

კორუფციის ნიშნებია: თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით; თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენებით კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის გადაცემა; თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენებით კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღება და დაკანონებაში ხელის შეწყობა.

ხაზგასმა სამართლებრივი სახელმწიფოს უპირატესობებზე ნაშრომის ძირითად სათქმელს დაგვაშორებს, თუმცა საკვანძო საკითხი, რაზეც დეტალიზება აუცილებელია,

არის ის, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანსა და ხელისუფლებას შორის არსებობს ყველასათვის ცნობილი თამაშის წესები. ეს არის ის სახელმწიფო, სადაც სახელმწიფო შეზღუდულია ადამიანის უფლებებითა და მოქმედი სამართლით და ადამიანს შეუძლია საკმაოდ ზუსტად გამოიცნოს ხელისუფლების რეაქცია მის ქმედებაზე, რამდენადაც მართავენ არა თავნება მოხელეები და თანამდებობის პირები, არამედ კანონები.

სახელმწიფო ახორციელებს თვითშეზღუდვას, მისი საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული კანონებითვე. სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა შეუსაბამოა უსამართლობასთან, თვითნებურ მმართველობასა და დიქტატურასთან, პოლიტიკაში სუბიექტივიზმთან და თვითნებობასთან. შესაბამისად, თუ ვიმსჯელებთ იმაზე, რომ ქრთამის შეთავაზება, აღება, მიცემა, პოლიტიკაში სუბიექტივიზმისა და თვითნებობის გამოვლინებაა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწორედ ზემოაღნიშნულთა აღსაკვეთადაა სამართლებრივი სახელმწიფო საჭირო.

ფაქტების, როგორც 338-ე, ისე 339-ე მუხლით გათვალისწინებული დისპოზიციის რათქმაუნდა სრულად აღკვეთა რთულია, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს მკაცრი მიდგომების შესახებ მსგავსი ქმედებებისას დამნაშავეთათვის ცნობილია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური გზა, სწორედ სამართლიანი განაჩენის დადგომაა.



## თავი 12. ქრთამის სამართლებრივი კვალიფიკაციის პრობლემატიკა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს მათ შორის სამართლებრივი პრაქტიკის ანალიზს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე 339-ე მუხლებთან მიმართებაში, რამდენადაც ეს ორი მუხლი თავისი დისპოზიციებით, შესაძლებელია გარდამავალი იყოს ერთმანეთში და ქმედების კვალიფიკაციისას წარმოიშვას სირთულეები. კერძოდ, წარდგენილი ბრალის მიუხედავად, სასამართლოს მიერ მოხდეს გადაკვალიფიცირება და სხვა მუხლით განაჩენის დადგომა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლი განსაზღვრავს ქრთამის აღების სამართლებრივ კვალიფიკაციას. კანონი ამბობს, რომ მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვ არაიმე არამართლზომიერი უპირატესობების მიღება ან მოთხოვნა, ასევე ასეთის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღება თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე განახორციელოს სამსახურეობრივი მფარველობა, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.<sup>29</sup>

წინამდებარე მუხლის უკეთ გასაგებად და კვალიფიკაციის სიზუსტისათვის აუცილებელია განიმარტოს ამ მუხლის შემადგენელი თითოეული სამართლებრივი ტერმინი.

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე არის პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო

<sup>29</sup> საქართველოს კანონი სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 238-239 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას და რომელიც ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.<sup>30</sup>

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის "თ" ქვეპუნქტის თანახმად კი სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი-საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრი და მისი მოადგილე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები და მათი მოადგილეები. აგრეთვე, „ი“ პუნქტის თანახმად პოლიტიკური თანამდებობის პირებს განეკუთვნება სახელმწიფო რწმუნებული, გუბერნატორი და მისი მოადგილე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე.<sup>31</sup>

ტერმინი მოხელე, რომელიც მოხსენიებულია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში, მოიცავს, როგორც სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირს, აგრეთვე პოლიტიკური თანამდებობის პირებს და ისინი შეიძლება იყვნენ სუბიექტები გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულებრივი ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის, დადგენილ უნდა იქნეს პირდაპირი კავშირი ქრთამის ფაქტობრივად აღებასა და იმ ქმედებას შორის, რომლის შესრულებაც მოხელის უფლებამოსილებებს განეკუთვნებოდა.<sup>32</sup>

---

<sup>30</sup> საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, 27/10/2015 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098>

<sup>31</sup> იქვე

<sup>32</sup> მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბილისი, მერიდიანი, 2005, გვ. 149

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული და სხვა კერძო ორგანიზაციის მუშაკი მოხელედ ვერ ჩაითვება, ამიტომ უკანონო მატერიალური გამორჩენის მიღების შემთხვევაში, პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც თავის თავში კომერციულ მოსყიდვას მოიცავს.

წინამდებარე განმარტებები მოცემულია საჯარო სამსახურის შესახებ კანონის შესაბამისად, თუმცა სისხლის სამართლის მუხლს არ ჰყავს მხოლოდ თავისი სუბიექტები, ჩადენილი უნდა იყოს ქმედება, ქრთამის შეთავაზება, აღება.

თავის მხრივ ქრთამი ფორმალური დანაშაულია და მცდელობაც უკვე დამდგარ დანაშაულად ითვლება. დისპოზიცია განსაზღვრულია, ვინ შეიძლება იყოს დანაშაულის სუბიექტი და რაში გამოიხატება ქმედება, შესაბამისად მუხლის მე-2 ნაწილი უკვე დამამძიმებელ გარემოებებზე მიუთითებს და ამბობს, რომ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, დიდი ოდენობით, წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თერთმეტ წლამდე.

ზემოაღნიშნული ქმედება ჩადენილი მექრთამეობისათვის მსჯავრდებული პირის მიერ, არაერთგზის, გამოძალვით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით თერთმეტიდან თხუთმეტი წლამდე.

აქვე, კანონი განმარტავს რა ითვლება დიდი ოდენობით ქრთამად და დასძენს, რომ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი სარგებლის სახით თანხა ათი ათასი ლარის ზევით, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქრთამად-თანხა ოცდაათი ათასი ლარის ზევით.

## 12.1 ქრთამის მახასიათებლები

მოხელისათვის ან მასთან გათანაბრებული პირისათვის პირდაპირ ან არაპირდაპირ, მის ან სხვა პირის სასარგებლოდ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის

დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება, რათა მან თანამდებობრივი უფლებების განხორციელებისას და მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს ქმედების განხორციელებისაგან, ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე განახორციელოს სამსახურეობრივი მფარველობა.

დანაშაულს, მითუფრო სამოხელეო დანაშაულს, ახასიათებს გათანამედროვება. კონკრეტულ შემთხვევაში იგულისხმება თანამედროვე ფორმები, კერძოდ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხები. სახელმწიფო კერძო პირებისაგან ყიდულობს კონკრეტულ საქონელსა და მომსახურებას, ხოლო ის, თუ ვისგან იყიდის მომსახურებას, თავის მხრივ შეიძლება იყოს იმ პირების ინტერესის ობიექტი, რომლებიც აწარმოებენ საქონელსა და მომსახურებას. აღსანიშნავია, რომ ტენდერებთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად თაღლითობად კვალიფიცირდება, რამდენადაც ამლები გათვითცნობიერებულია და იცის, როგორი წესით ტარდება ტენდერი და ყოველთვის, აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები ერთზე მეტი პირია.

რამდენადაც, როგორც წესი, ტენდერით სარგებელს ნახულობენ როგორც სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი პირი, ასევე ის, ვინც პრივილეგირებულად მიიღებს ტენდერში მონაწილეობას, მასზე მორგებული პირობებით, დაზარალებული იქნება უპირობოდ სახელმწიფო, შესაბამისად აღნიშნული ქმედება პრაქტიკაში თაღლითობად კვალიფიცირდება და შესაბამისი მუხლით მიდის კიდევ როგორც გამოძიება, ასევე დგება განაჩენიც.

## თავი 13. ზეგავლენით ვაჭრობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულია ზეგავლენით ვაჭრობის კვალიფიკაცია. შესაბამისად, ქრთამის მოცემულობის შემთხვევებში, შესაძლებელია იგი გადაკვალიფიცირდეს 339<sup>1</sup> მუხლით. კანონმდებელი ამბობს, რომ იმ პირისთვის, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის ან მოხელესთან გათანაბრებული პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე პირდაპირ ან არაპირდაპირ, მის ან სხვა პირის სასარგებლოდ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება იმ პირის მიერ რომელიც მოქმედებს საკუთარი ან სხვა პირის ინტერესებისათვის, მიუხედავად იმისა, განახორციელა თუ არა ასეთი ზეგავლენა ან/და მიღებული იქნა თუ არა ზეგავლენის სასურველი შედეგი, დასჯადი ქმედებაა.<sup>33</sup> ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზეგავლენით ვაჭრობაც ფორმალური დანაშაულია და ის შედეგს არ საჭიროებს. აუცილებელია სახეზე გვქონდეს დაპირება, რაც უკვე დანაშაულად იქნება მიჩნეული. ასეთ დროს მტკიცების ტვირთი ბრალმდებლისთვის ძნელი სატარებელია და სამტკიცებლად აუცილებელია, რომ მოჰყვეს გამოძიება, ფარული საგამოძიებო მოქმედება, პირის აღჭურვა და შემდგომი ქმედებების პროკურატურის მეთვალყურეობის ქვეშ განხორციელება.

განვიხილოთ ზემოაღნიშნული შემთხვევა:

ჰიპოთეტურად დავუშვათ, რომ მომენტში, როდესაც მოხელემ შესთავაზა პირს ზეგავლენით ვაჭრობა, ანუ სხვა პირის მიერ მისთვის არამართლზომიერი შედეგის

---

<sup>33</sup> საქართველოს კანონი სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 339<sup>1</sup>  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

დადგომის დაპირება, პირმა მოახდინა ფარულად აუდიოჩაწერა დაპირების. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ აქვს, შესაბამისად, ის ვერ იქნება სასამართლოზე დაშვებული მტკიცებულება, თუმცა საგამომიებო ორგანო მოქმედებს იმისათვის, რომ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, პირველადი (დაუშვებელი) მტკიცებულება გავლენის მომხდენი იყოს გამამტყუნებელ განაჩენზე, რასაც აკეთებს შემდეგნაირად.

პირი, რომელიც განაცხადებს, რომ მოხელის მხრიდან ჰქონდა შეთავაზებას ადგილი, აღიჭურვება საგამომიებო ორგანოს მიერ და იწყება ფარული საგამომიებო მოქმედებები. აღნიშნული დაკანონებული და იურიდიული ძალის მქონეა, თუმცა, როდესაც პოტენციური დამნაშავე იაზრებს, რომ შესაძლოა მის მიმართ მიმდინარეობდეს ფარული საგამომიებო მოქმედება, ალების დროს საუბრობს, რომ თანხას ართმევს სესხად, ან რაიმე სხვას, ისე, რომ თანხის გადაცემის მიზანი აშკარა არ იყოს. ასეთ დროს პროკურატურა იძულებულია მოახდინოს დანაშაულის პროვოცირება, თუმცა ეს ზოგადი შეფასებაა, რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქრთამი, ზეგავლენით ვაჭრობა, ორივე ფორმალური დანაშაულია და მომხდარია შეთავაზების მომენტშივე.<sup>34</sup>

შესაბამისად, სასამართლომ უნდა იმსჯელოს პირველად მტკიცებულებასთან ერთობლიობაში, რათა დადგინდეს, ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი ქრთამის, ან/და ზეგავლენით ვაჭრობის შეთავაზებას.

---

<sup>34</sup> გ. ლლონტი, ი. ლაგვილავა, ზ. მარუაშვილი, ე. წიკლაური, კორუფცია საქართველოში და კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი . ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2011, გვ. 278

## თავი 14. განზოგადებული სასამართლო პრაქტიკა სამოხელეო დანაშაულთან მიმართებაში

საქმეში #497აპ.-16 უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს დაცვის მხარის იმ მითითებაზე, რომ მ.ც.-ას მოუწყვეს დანაშაულის პროვოკაცია და აღნიშნავს:<sup>35</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ ფარული აგენტის გამოყენება საგამომიებო პროცესში თავისთავად არ ხელყოფს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში დადგენილ გარანტიას (სამართლიანი სასამართლოს უფლება). მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა როლი ჰქონდა ფარულ თანამშრომელს. საგამომიებო ორგანოს თანამშრომლებმა/კონფიდენტებმა არ უნდა განახორციელონ პირებზე იმგვარი გავლენა, რომ შემდგომი პასუხისმგებლობის მიზნით, წააქეზონ მათ მიერ დანაშაულის ჩადენა. კონვენცია ირღვევა, როდესაც აგენტები უბიძგებენ პირს დანაშაულის ჩადენისკენ და სახეზე არ არის არგუმენტი, რომ მოცემული დანაშაული მათი მონაწილეობის გარეშე იქნებოდა ჩადენილი.<sup>36</sup> ფარულ თანამშრომელთა მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში უნდა განხორციელდეს მხოლოდ პასიურად და მათ არ უნდა ჰქონდეთ როლი ბრალდებულთა განზრახვის ფორმირების პროცესში<sup>37</sup>; თუ ფარული აგენტი აქტიურად არის ჩართული და არსებითად უღვივებს პირს დანაშაულის ჩადენის სურვილს, სახეზეა დანაშაულის პროვოკაცია;<sup>38</sup> ხოლო როცა მიმდინარე/დაწყებულ დანაშაულებრივი ქმედების ფარგლებში ხდება ფარული თანამშრომლის ჩართვა, ეს ითვლება პასიურ მოქმედებად და, შესაბამისად, მისი ქმედება არ არის მაპროვოცირებელი<sup>39</sup>.

პალატა აღნიშნავს, რომ ნ.ჯ.-ია ფარულ საგამომიებო მოქმედებებში ჩართეს და აღნიშნული საგამომიებო მოქმედებები განხორციელეს მას შემდეგ, რაც მ.ც.-ამ

<sup>35</sup> <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>, 22.06.2019

<sup>36</sup> ECtHR, 9/06/1998, Teixeira de Castro v. Portugal, №44/1997/828/1034.

<sup>37</sup> ECtHR, 5/02/2008, Ramanauskas v. Lithuania, №74420/01.

<sup>38</sup> ECtHR, 1/07/2008, Malininas v. Lithuania, №10071/04.

<sup>39</sup> ECtHR, 24/06/2008, Miliniene v. Lithuania, №74355/01.

მოსთხოვა ნ.ჯ.-ას დასაქმების სანაცვლოდ თანხის გადახდა. ნ.ჯ.-ას როლი მთელ ამ პროცესში იყო პასიური იმ კუთხით, რომ მისი ქმედება არცერთ ეტაპზე არ იყო წამქეზებლური, მას მ. ც.-თვის არაფერი შეუთავაზებია, იგი მოქმედებდა მ. ც.-სგან მომდინარე პირობების შესაბამისად, რის გამოც, საკასაციო პალატა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემომითითებული განმარტებების გათვალისწინებით, ვერ მიიჩნევს ნ.ჯ.-ას ე.წ. აგენტ-პროვოკატორად ხოლო მ. ც.-ას - დანაშაულის პროვოკაციის მსხვერპლად.

ამასთან, საკასაციო პალატა არ იზიარებს გასაჩივრებული განაჩენის სამართლებრივ შეფასებას მ. ც.-ას მიერ ჩადენილი ქმედებისა და ამ ნაწილში იზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სახეზე არ არის ქრთამის აღების შემადგენლობის ყველა ელემენტი. კერძოდ:

გასაჩივრებული განაჩენით მ. ც.-ას მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით იმაში, რომ მან (მოხელემ) პირდაპირ მოითხოვა და მიიღო ფული, რათა თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით ნ. ჯ.-ას სასარგებლოდ განეხორციელებინა ქმედება (დაესაქმებინა).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმისათვის, რათა პირს შეერაცხოს ბრალად წარდგენილი ქმედება, უნდა დადგინდეს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი.

მოცემულ შემთხვევაში უტყუარადაა დადგენილი, რომ მ. ც.-ამ მოსთხოვა და მიიღო ფული ნ. ჯ.-ასგან მისთვის სასარგებლო ქმედების განხორციელების პირობით. პალატა განმარტავს, რომ ქრთამის აღების საფუძველზე შესრულებული მოქმედება შეიძლება არ შედიოდეს მოხელის სამსახურებრივ უფლებამოსილებაში, მაგრამ მის თანამდებობრივ ავტორიტეტს შეეძლოს ხელი შეუწყოს ქრთამის მიმცემის სასარგებლო მოქმედების შესრულებას/შეუსრულებლობას. ამასთან, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია იმის დადგენა, რომ მოხელე სწორედ თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით აპირებს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას.

აღნიშნულის დასადგენად საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ნ. კ.- ს ჩვენებასა და ფარულ ვიდეოჩანაწერებზე, საიდანაც ირკვევა, რომ მ.ც.-ა ნ.ჯ.-ას დასაქმებას სამსახურებრივი ავტორიტეტის გამოყენებით კი არ ჰპირდებოდა, არამედ ამ



საკითხის მოგვარებას პირადი, ახლობლური ურთიერთობების გამოყენებით აპირებდა, რაც გამორიცხავს მ.ც.-ას მიერ თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით უკანონო ქმედების განხორციელების შეპირებას და, შესაბამისად, მ.ც.-ას ქმედების ქრთამის აღებად შეფასების სამართლებრივ შესაძლებლობას. გამოკვლეული მტიცებულებებით დგინდება, რომ მ.ც.-ა ჰპირდებოდა ნ. ჯ.-ას, რომ ახლობლური ურთიერთობებით გავლენა მოეხდინა სხვა პირზე, რომელსაც ხელეწიფებოდა ნ.კ.-ასთვის თანხის სანაცვლოდ შეპირებული ქმედების განხორციელება, რაც საქართველოს სსკ-ის 339<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ზეგავლენით ვაჭრობა) გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას შეიცავს, რომლის თანახმადაც, დასჯადია პირისთვის ფულის მოთხოვნა და მიღება იმის სანაცვლოდ, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ამ პირის სასარგებლოდ. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. ც.-ას მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებას საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 339<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილზე.<sup>40</sup>

საქმეში ორი კ-128აპ.-16<sup>41</sup> საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ბრალის წარდგენა მოხდა არასათანადო კვალიფიკაციით პირველ და სააპელაციო სასამართლოების ინსტანციებში. სასამართლომ თქვა, რომ ბრალდებულს არ ჩაუდნია დანაშაული, სინამდვილეში დანაშაული ქონდა დანაშაულის პროვოკაციას. შესაბამისად პროკურატურის მხრიდან მომხდარი იყო უკანონო და დაუსაბუთებელი ბრალდება, შემდგომში კი მსჯავრდება სასამართლოების მიერ. დაცვის მხარე ამ საქმეში აპელირებდა იმაზე რომ მსჯავრდებულები უდანაშაულოები იყვნენ, რამდენადაც მოწმე იყო აგენტ-პროვოკატორი, ხოლო მსჯავრდებულების მიმართ ადგილი ქონდა დანაშაულის პროვოკაციას. საქმეში არავითარი მტკიცებულება არ მოიპოვება იმის დასადასტურებლად, რომ მოწმე მოქმედებდა, როგორც აგენტ-პროვოკატორი.

ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების გამოყენება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მექრთამეობის საქმეებზე ლატენტური დანაშაულების

<sup>40</sup> უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N 497-აპ.16

<sup>41</sup> იქვე

გამოსავლენად ოპერატიული ექსპერიმენტის სახით მართლზომიერი ქმედებაა და იგი სრულიად განსხვავდება პროვოკაციისგან.<sup>42</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში პირდაპირ მიუთითებს, რომ ფარული აგენტის გამოყენება საგამომიებო პროცესში არ ხელჰყოფს ევროპული კონვენციის მეექვსე მუხლის პირველ პუნქტში დადგენილ გარანტიას. ზოგადად ფარული აგენტის მიერ პირის წაქეზება, არ გამორიცხავს ამ უკანასკნელის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. დანაშაულის პროვოკაცია არ ათავისუფლებს პროვოცირებულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით (ramauskas v.Lithuania,74420/01.2008 წლის 5 თებერვალი).<sup>43</sup>

---

<sup>42</sup> უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N128აპ-16 28 ივლისი 2016 [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge),

<sup>43</sup> ramauskas v.Lithuania,74420/01.2008 წლის 5 თებერვალი

## თავი 15. მტკიცების ტვირთის სირთულე

მტკიცების ტვირთის ტარებისათვის და მის გამამტყუნებელ განაჩენამდე მიყვანისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ<sup>44</sup> საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვას და საგამომძებრო პროცედურების მინიმუმ უხეში დარღვევების გარეშე ჩატარებას. დაცვის მხარე როგორც წესი აპელირებს იმაზე, რომ ოპერატიული სამძებრო ოპერაციები ჩატარდა კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, რადროსაც ადგილი ქონდა ფარული აგენტის მიერ კანონის აკრძალული ხერხის გამოყენებას. კერძოდ მოტყუებას, დანაშაულის ვითარების ხელოვნურად შექმნას, ნდობის ბოროტად გამოყენებას, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციას და სხვა მსგავს ქმედებებს ჯერ ბრალდებულთა და შემდგომ მსჯავრდებულთა წინააღმდეგ მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის მიზნით. მთავარია როდესაც პროკურატურა გამოდის სახელმწიფო მბრალდებლის როლში, მისი თვით მიზანი არ იყოს პირის მსჯავრდება, მიზანი უნდა იყოს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა.

თავის მხრივ, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა სირთულეს წარმოადგენს, რაც გულისხმობს მტკიცებულებათა სტანდარტების დაკმაყოფილებას. კერძოდ:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, არსებობს მტკიცების სამი სტანდარტი: ესენია: დასაბუთებული ვარაუდი, ალბათობის მაღალი ხარისხი და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტები: გავშალოთ თითოეული მათგანი:

დასაბუთებული ვარაუდი ფაქტების და მტკიცებულებების ერთობლიობაა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.

ალბათობის მაღალი ხარისხი წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის

---

<sup>44</sup> საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, 30/04/1999 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18472>

სახელმძღვანელო სტანდარტია, რომელიც ეყრდნობა სხდომაზე წარმოდგენილ ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას და საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისთვის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი. რაც შეეხება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობაა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.<sup>45</sup>

გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაკმაყოფილება მეტად რთულია, თუმცადა არავინ დაობს იმაზე, რომ ქრთამი ფორმალური დანაშაულია და შეთავაზების მომენტშივე ჩადენილად ითვლება. როგორ უნდა ვამტკიცოთ, თუ საგამომიებო ორგანოებს არ ექნებათ საშუალება გამოიყენონ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონითა<sup>46</sup> და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით<sup>47</sup> მინიჭებული უფლებამოსილებები, მათ შორის აღჭურვა?

უმნიშვნელოვანესია, რომ არ იქნას დანაშაული პროვოცირებული, უფრო კონკრეტულად, უნდა დგინდებოდეს, რომ აღჭურვილი პირის ქმედების გარეშეც, ფაქტს ექნებოდა ადგილი და პირის ქმედება მიმართული უნდა იყოს მხოლოდ იქით, რომ შეგროვდეს მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დასაკმაყოფილებლად.

## თავი 16. ქრთამის აღების და ზეგავლენით ვაჭრობის

<sup>45</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3, მე-11 მე-12, მე-13 ნაწილები. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>

<sup>46</sup> საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, 30/04/1999 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18472>

<sup>47</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>

## განსხვავება და მტკიცება

არაერთ საქმეში საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ქრთამის აღება, როგორც დანაშაული და ზეგავლენით ვაჭრობა ერთმანეთს გავს, ამავე დროს კი ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. პირველ რიგში აღსანიშნავია, ის რომ ქრთამის აღების სუბიექტია მხოლოდ მოხელე, რომელიც ქრთამის სანაცვლოდ სხვა პირის კანონიერი თუ უკანონო ინტერესების სასარგებლოდ იყენებს თავის უფლებამოსილებას. რაც შეეხება ზეგავლენით ვაჭრობას, ამ დანაშაულის სუბიექტი, როგორც წესი, არ არის მოხელე, თუმცა არ არის გამორიცხული რომ ეს დანაშაული ჩაიდინოს მოხელემაც, მაგრამ არა თავისი სამსახურეობრივი უფლებამოსილების არამედ საჯარო სამსახურში მყოფ სხვა მოხელეებთან მისი პირადი ურთიერთობების გამოყენებით. ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი მოხელე ვინმეს სასარგებლოდ სხვა მოხელეზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით იყენებს თავის სამსახურეობრივ უფლებამოსილებას და ამის სანაცვლოდ შესაბამის საზღაურს ან სხვა სარგებელს მოითხოვს ან და მას ასეთს ჰპირდებიან, ადგილი აქვს ქრთამის აღებას და არა ზეგავლენით ვაჭრობას. გარდა ამისა ქრთამის აღებისას მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი ქრთამის სანაცვლოდ უშუალოდ თვითონ ახორციელებს შესაბამის ქმედებას ქრთამის გამცემის სასარგებლოდ, ხოლო ზეგავლენით მოვაჭრეს არ გააჩნია შესაძლებლობა სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. ასეთი პირი მხოლოდ თავისი პირადი დამოკიდებულებების გამოყენებით აღწევს იმ პირისათვის სასურველ შედეგს რომლისათვის იგი მოქმედებდა.

სამართლებრივად მნიშვნელოვანი საკითხია უნდა დაკვალიფიცირდეს თუ არა სსკ 338-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, როდესაც ერთი მოხელის მიერ ქრთამის ნაწილი ხვდებათ სხვა მოხელეებსაც. მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქრთამის აღებისა და მასში თანამონაწილეობისათვის. მიმაჩნია, რომ თუ ეს მეორე პირი არ არის მოხელე ჯგუფურობის დადგენა იქნება მეტად რთული და მიმაჩნია, რომ იგი დანაშაულის მონაწილე კერძო პირია, რომელიც ახორციელებს დახმარებას.

### 16.1 დაკვალიფიცირება

დანაშაულისათვის ქრთამის კვალიფიკაციის მინიჭებისას უზენაესი სასამართლო პირველ რიგში მსჯელობს შეესაბამება თუ არა ქრთამის კვალიფიკაცია მუხლის დისპოზიციას და საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო გამოძიება ჩატარებულია თუ არა სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით.

საქმის N2კ-29კოლ.-06<sup>48</sup> მსჯელობას ლაიტომტივად გასდევდა საკითხი, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისა და ანტიკორუფციული მექანიზმების გააქტიურების აუცილებლობიდან გამომდინარე, უკეთესი ხომ არ იყო სასამართლოს არ გაეთვალისწინებინა ზემოაღნიშნული გარემოებები და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლი განაჩენში არ გამოეყენებინა. მიუხედავად პროკურატურის მოთხოვნისა ზემოაღნიშნულზე, უკვე საკასაციო ინსტანციაშიც კი, სასამართლომ დატოვა განაჩენში 55-ე მუხლი და მსჯავრდება განისაზღვრა მხოლოდ და მხოლოდ იმ ვადით, რა ვადაც თავის დროზე საწყისმა ინსტანციამ მიუთითა.

საქმე N2კ-29კოლ.-06 გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე, ხაზგასასმელია რამოდენიმე ფაქტი. კერძოდ:

სსკ 338-ე მუხლის დისპოზიციაში ქრთამის აღების მაკვალიფიცირებელ გარემოებებზე, ნახსენებია „წინასწარი შეთანხმება“. მზია ლეკვეიშვილი <sup>49</sup> მიიჩნევს, რომ უნდა ივარაუდებოდეს ქრთამის აღების მიზნით ორი ან მეტი პირის შეთანხმება, რასაც ადგილი ჰქონდა დანაშაულის უშუალო განხორციელებამდე. ვინაიდან განზრახი დანაშაულის დასაწყისად მიიჩნევა უშუალოდ დანაშაულის ჩადენისაკენ მიმართული ქმედება, წინასწარი შეთანხმება ჯგუფური დანაშაულის ჩასადენად შეიძლება მოხდეს მოსამზადებელ სტადიაზეც. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფში შედიან მხოლოდ თანამსრულებლები, ამიტომ რთული თანამონაწილეობა არ ქმნის ზემოაღნიშნულ მაკვალიფიცირებელ გარემოებას. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ქრთამის აღების თანამონაწილეობის ობიექტურ ნიშნებს მიეკვთვნება, პირველ რიგში ორი ან მეტი პირის მონაწილეობა და მეორე, ყველა მონაწილის მიერ ქმედების ერთობლივი ჩადენა

<sup>48</sup> უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N2კ-29კოლ.-06 [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

<sup>49</sup> მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბილისი, მერიდიანი, 2005, გვ., 154

რაც დაკავშირებულია ქრთამის აღებასთან. დანაშაულებრივი შედეგი მიიღწევა მისი ყველა მონაწილის გაერთიანებული ძალებით.

ამრიგად, ქრთამის აღებაში თანამონაწილეობისას, შემდეგი პირობები უნდა იყოს სახეზე.

1. ქრთამის აღებაში უნდა მონაწილეობდეს არანაკლებ პირი მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი;
2. მათ შორის შეთანხმება მიღწეული უნდა იქნეს მის მიღებამდე ან შეთავაზებამდე.
3. ჯგუფის თითოეულმა მონაწილემ ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით უნდა ჩაიდინოს კანონიერი ან უკანონო ქმედება, შეასრულოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს მისი შესრულებისგან.
4. ჯგუფის თითოეული წევრის მიზანს უნდა წარმადგენდეს უკანონო მატერიალური გამორჩენს გარკვეული ნაწილის მიღება.

სამოხელეო დანაშაულის თითოეული მუხლი და მითუფრო ქრთამი, თავისი არსით რთულად დასაკვალიფიცირებელი დანაშაულებაა და დეტალურ ანალიზს საჭიროებს, თუმცა შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც რთულია მტკიცების ტვირთი, იმდენად დიდია სამოხელეო დანაშაულთან ბრძოლის როლი კორუფციასთან ბრძოლაში და საბოლოო ჯამში სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

## თავი 17. სამსახურებრივი უფლებამოსილების

### ბოროტად გამოყენება

საქმეში 2კ-135კოლ.-05<sup>50</sup> საბრალდებო დასკვნით დ. მ-ძეს ბრალი ედება იმაში, რომ იყო რა მოხელე არაერთ გზის ჩაიდინა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის მისაღებად, რამაც იურიდიული პირის უფლების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია. ყალბი პირადობის მოწმობისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტის დამზადებამ და არაერთგზის გამოყენებამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. ქრთამის აღება მოხდა ფულის სახით ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ მოქმედების შეუსრულებლობისათვის, რომელიც მოხელეს შეეძლო შეესრულებინა. თავისი სამსახურებრივი მფარველობის განხორციელება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და არაერთგზის. მჯავრდებული მუშაობდა რა შსს ჭიათურის შსს საქალაქო განყოფილების სისხლის სამართლის სამმებრო ქვეგანყოფილების უფროსის თანამდებობაზე და იყო მოხელე, დანაშაულებრივად დაუკავშირდა ამავე ქვეგანყოფილების ინსპექტორს და შეთანხმდნენ კონკრეტული დანაშაულის ჩადენაზე, დაამზადეს ყალბი დოკუმენტი თითქოს ჰქონდათ ნებართვა ანძების დაჭრის. დაამზადეს პოლიციის მუშაკის ყალბი პირადობა, რათა მუშები დაერწმუნებინათ კანონიერ მოქმედებაში და შემსრულებელს დაჰპირდნენ სამსახურებრივ მფარველობას. პოლიციის ინსპექტორებმა არ შეასრულეს სამსახურებრივი მოვალეობა, სახელმწიფო აღრიცხვაზე არ დააყენეს ფაქტი, დამალეს ჩადენილი დანაშაული რითაც განახორციელეს სამსახურებრივი მფარველობა. საბრალდებო დასკვნით პირს ბრალი ედება ქრთამის აღებისთვის ფულის სახით ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ მოქმედების შეუსრულებლობისათვის, რომელიც მოხელეს შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მოვალეობის გამოყენებით. შინაარსიდან იკვეთება, რომ გამომძიებელმა და ინსპექტორმა დამალეს ქურდობის ფაქტი ფინანსური გამორჩენის მიზნით. საკასაციო სასამართლომ დადგენილად

<sup>50</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე 2კ-135კოლ.-05 [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)



მიიჩნია, რომ მსჯავრდებულებმა სამსახურეობრივი უფლებამოსილება გამოიყენეს ბოროტად. გამოიყენეს ყალბი დოკუმენტი და ფარულად გაიტაცეს სხვისი ქონება. ამასთან კოლეგიამ სათანადოდ ვერ დაასაბუთა ქრთამის აღების ეპიზოდში გამართლება. შესაბამისად საქმე განსახილველად დაბრუნდა ქიათურის რაიონულ სასამართლოში.

საინტერესო განმარტებები გააკეთა უზენაესმა სასამართლომ საქმეში 23-168კოლ.-05<sup>51</sup>. პირს მსჯავრი დაედო სსკ 338-ე მუხლის პირველი ნაწილით 55-ე მუხლთან ერთად. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან დგინდებოდა, რომ მოხელეს, რომელსაც ევალებოდა არასაპატიმრო სასჯელთაღსრულებისა და პრობაციის შესახებ კანონის შესრულება აღრიცხვაზე ჰყავდა მოქალაქე, რომელსაც 2002 წლის 20 ოქტომბრის განაჩენით შეფარდებული ჰქონდა 2 წლით პირობითი მსჯავრი. პრობაციონერი დარწმუნებული იყო, რომ ორ წლიანი ვადის ათვლა უნდა დაწყებოდა განაჩენის გამოტანის დღიდან. 2005 წლის მარტის დასაწყისში მან სთხოვა მოხელეს, რომ ვადის გასვლის გამო მოეხსნა აღრიცხვიდან რათა გაუქმებოდა პირობითი მსჯავრი. მოხელემ განიზრახა აეღო ქრთამი და დაარწმუნა პრობაციონერი, რომ ვადა ნამდვილად უმთავრდებოდა 2005 წლის ოქტომბერში და მარტში გათავისუფლება შესაძლებელი იყო მხოლოდ მისი მეშვეობით მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. პრობაციის ოფიცერმა დაარწმუნა პირი, რომ მას შეეძლო თავისი ავტორიტეტით გავლენა მოეხდინა სხვა პირებზე, რომლებიც მის დაქვემდებარებაში არ იმყოფებოდნენ, რათა მათ მიეღოთ მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება. 10 მარტს პრობაციის ოფიცერმა პრობაციონერს მოსთხოვა 150 აშშ დოლარი. პრობაციონერმა მიმართა შსს, რის შემდეგაც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამართველოს მუშაკებმა ჩხრეკის დროს პრობაციის ოფიცერის უჯრიდან ამოიღეს დანომრილი კუპიურები. ზემო აღნიშნულ საქმეში უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის მოსაზრება, იმასთან დაკავშირებით რომ თითქოს წინასწარი გამოძიების დროს დარღვეული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. მტკიცებულებათა ამოღებისა და დამაგრების პროცესუალური მოთხოვნები.

---

<sup>51</sup> უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე 23-169კოლ-05 [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ეს საქმე სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც სასამართლომ გააკეთა მტკიცებულებათა ზუსტი ჩამონათვალი რა შეიძლება იყოს ქრთამის აღების დროს მტკიცებულებად გამოყენებული. კერძოდ, მოწმეთა ჩვენებები, სამუშაო ოთახის ჩხრეკის ოქმი, ფულის მასა, ფინოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით საუბრის აუდიო ჩანაწერი, თანხის გადაცემის ვიდეო ჩანაწერი, ფულის წარდგენისა გადამუშავების ოქმში დაფიქსირებული შესაბამისი ნომრების კუპიურები, რომელიც შემდგომ ამოღებულ იქნა, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ სსკ 55-ე მუხლის საფუძველზე განაჩენი დადგა მხოლოდ სამი წლის ვადით.

ფართო მნიშვნელობით, მტკიცება არის წესების ერთბლიობა, გამოყენებული დანაშაულის კონსტანტაციისათვის, ან ფაქტებთან ან დანაშაულის ჩამდენის პიროვნულობასთან დაკავშირებული. მტკიცება არის ერთ-ერთი საყრდენი პროცესი, ვინაიდან თუ არ დასტურდება მტკიცება, ხდება გამართლება.

კანონმდებელმა და მოსამართლემ ანგარიში უნდა გაუწიონ ინტერესთა მნიშვნელოვან რიცხვს, ესენია: უდანაშაულობის პრეზუმციის დაცვა, პიროვნების ღირსების პატივისცემა, სასამართლო ინსტიტუტის პატივისცემა. ყოველივე ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაცვა, აიძულებს საგამომიებო ორგანოებს პირველ ეტაპზე, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით გამოიძიონ, ხოლო სახელმწიფო ბრალმდებლებს, სწორი ფორმით წარადგინონ ისინი სასამართლოში, დაიწყონ მტკიცება არა იმ მიზნით, რომ დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი, არამედ იმისათვის, რომ დადგეს სრულად და ობიექტურად გამოძიებული საქმის სამართლებრივი შედეგი.

საქმეში 2კ-143კოლ.-05<sup>52</sup> სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია ის ფაქტი, რომ საპასპორტო, სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის უფროსმა ინსპექტორმა, რომელიც წარმოადგენდა მოხელეს აილო ქრთამი. ამ საქმეში დადგენილ იქნა, რომ საგამომიებო ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ ბრალდებულის სამუშაო კაბინეტში აღმოჩნდა ერთი ცალი ქლოროპლასტით შეღებილი 50 ლარიანი კუპიურა. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად თანხის ოდენობისა სახელმწიფო სსსკ 55-ე მუხლი არ გამოუყენებია.

---

<sup>52</sup> უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე 2კ-143კოლ.-05 [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ხშირად სასამართლო განაჩენში უთითებს, რომ აუცილებელია ძირითადი სასჯელის გარდა მოხელისათვის ქრთამის, როგორც დამატებითი სასჯელის შეფარდება, რაც განისაზღვრება სასამართლოს შეხედულების ვადით თანამდებობის დაკავების აკრძალვით. საქმეში N3კ-22კოლ.-15<sup>53</sup> სასამართლომ განმარტა, რომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილ იქნა სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. მანვე, იყო რა მოხელე, ჩაიდინა ქრთამის აღება ფულის სახით მიმცემის სასარგებლოდ მოქმედების შეუსრულებლობისათვის, რომელიც მას როგორც მოხელეს უნდა შეესრულებინა და შეემლო კიდევ შეესრულებინა თავისი სამსახურეობრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე. ბრალდებულისთვის ცნობილი გახდა, რომ ჩილაჩავა უკანონოდ ინახავდა მცირე კალიბრიან საბრძოლო იარაღს, ხოლო მისი შვილები ეწეოდნენ მსხვილფეხა საქონლის ქურდობასა და რეალიზაციას.

ა. ლიპარტიას და ვ. ნარსიას უკანონო მოქმედება გრძელდებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რამაც საბოლოოდ გატეხა ჯ. ოთხოზორიას ნებისყოფა და იგი აიძულა დათანხმებულიყო ლიპარტიასა და ნარსიას უკანონო მოთხოვნას, ოღონდ იმ პირობით, რომ გადაიხდიდა არა 2500 აშშ დოლარს, როგორც ამას ითხოვდნენ მისგან არამედ 2200 აშშ დოლარს.

მიაღწიეს რა სასურველ შედეგს და დარწმუნდნენ იმაში, რომ ჯ. თხოზორია თანახმა იყო ქრთამის სახით 2200 აშშ დოლარის გადახდაზე, გაათავისუფლეს იგი, მისცეს სახლში წასვლის საშუალება, შეჰპირდნენ, რომ გამოიჩენდნენ უმოქმედობას და ჩილაჩავეებისაგან ორი სული ნაქურდალი ცხენის ქურდობასა და შეძენაზე არ მოახდენდნენ რეაგირებას, არ შეადგენდნენ სათანადო დოკუმენტს და არ წარუდგენდნენ მას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეოს შსს მთავარ სამმართველოს რეაგირებისათვის, რაც შეასრულეს კიდევ ამ გზით მიჩქმალეს არასრულწლოვნების ზ. და ვ. ჩილაჩავეების მიერ ცხენების ქურდობის ფაქტი, რამაც ფიზიკური პირის უფლებებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

ა. ლიპარტიასა და ვ. ნარსიასთან შეთანხმებული ჯ. ოთხოზორია 2002 წლის 27 იანვარს, ქრთამის გადაცემის მიზნით, თავის „გაზ-3110 სახ. ნომერი 751 მტს-რუს ავტომანქანით მივიდა ქ. ზუგდიდში, ... მდებარე ცენტრალური ფოსტის წინ.

<sup>53</sup> უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N3კ-22კოლ.-15 [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ავტომანქანის წინა სალონში იჯდა მისი ძმა - ე. ოთხოზორია. ისინი ელოდებოდნენ პოლიციის მუშაკებს ა. ლიპარტიას და ვ. ნარსიას. დაახლოებით 14 საათზე მათთან მივიდა ა. ლიპარტია, რომელიც ჩაჯდა ჯ. ოთხოზორიას ავტომანქანის უკანა სალონში, რა დროსაც ჯ. ოთხოზორიამ განუცხადა, რომ მან ვერ შეძლო მთლიანად დაპირებული თანხის შეგროვება და მათზე გადასაცემად ჰქონდა მხოლოდ 2000 აშშ დოლარი. აღნიშნულს ა. ლიპარტიამ უპასუხა, რომ ნაკლებ თანხას იგი ვერ აიღებდა და ამის შემდეგ შეუთანხმდა თავის კოლეგას ვ. ნარსიას, რომელიც, მისი თქმით მას ელოდებოდა ქ. ზუგდიდში. ამ მიზნით ა. ლიპარტია ჩავიდა ავტომანქანიდან და წავიდა კოსტავას ქუჩის მიმართულებით. დაახლოებით 5 წუთის შემდეგ ჯ. და ე. ოთხოზორიებთან მივიდა ა. ლიპარტია და ვ. ნარსია, ეს უკანასკნელი ჩაჯდა ჯ. ოთხოზორიას კუთვნილ ზემოთ აღნიშნულ ავტომობილის უკანა სალონში, ხოლო ა. ლიპარტია დადგა გარეთ, ავტომანქანასთან. ჯ. ოთხოზორიამ ვ. ნარსიასაც იგივე გაუმეორა, კერძოდ: ნაშოვნი ჰქონდა 2000 აშშ დოლარი და მეტის გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნდა. ვინაიდან აღნიშნულის შესახებ ა. ლიპარტიას მეშვეობით ვ. ნარსიამ უკვე იცოდა, ეს უკანასკნელი დათანხმდა ქრთამის სახით აეღო 2000 აშშ დოლარი. თანხმობის მიღების შემდეგ ჯ. ოთხოზორიამ თავისი ძმის - ე. ოთხოზორიას თანდასწრებით ქრთამის სახით ვ. ნარსიას გადასცა 2000 აშშ დოლარი - 20 ცალი 100 დოლარიანი კუპიურა. ქრთამის აღების შემდეგ ვ. ნარსიამ დაამშვიდა ჯ. ოთხოზორია, რომ მას ამის შემდეგ ცხენების შესყიდვასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა აღარ ექნებოდა სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებთან და რომ საქმე საბოლოოდ იყო მოგვარებული.

ქრთამის სახით 2000 აშშ დოლარის გადაცემის შემდეგ ჯ. ოთხოზორიამ და მისმა ძმამ ქრთამის ამღების პოლიციის მუშაკები ა. ლიპარტია და ვ. ნარსია დაპატიჟეს ზუგდიდის ცენტრალურ „სუპერმარკეტის“ წინ არსებულ ლუდის ბარ „ენგურში“, სადაც აღნიშნეს საქმის ნორმალურად დამთავრება, რის შემდეგ ლუდის ბარიდან ა. ლიპარტია და ვ. ნარსია წავიდნენ ამ უკანასკნელის კუთვნილი „ბმვ“-ს მარკის ავტომობილით, ხოლო ძმები ჯ. და ე. ოთხოზორიები დაბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ სახლში, ზუგდიდის რაიონის სოფ. ორულუში.

ჯ. ოთხოზორიასგან ქრთამის სახით აღებული 2000 აშშ დოლარი ა. ლიპარტიამ და ვ. ნარსიამ ურთიერთ შორის გაინაწილეს. ამის შემდეგ პოლიციის მუშაკმა ა. ლიპარტიამ, იმის ვარაუდით, რომ ცხენების ქურდობა ბოლომდე მიჩქმალულიყო და დაზარალებულ ვ. აქუბარდიას არ გამოეთქვა რაიმე პრეტენზია სამართალდამცავ ორგანოებში, მან ჯ.ოთხოზორიას დაუბრუნა 400 ლარი, რაც ჯ. ოთხოზორიამ 2002 წ. თებერვლის შუა რიცხვებში თავისი დისშვილის გ. ბარამიას მეშვეობით გაუგზავნა ვ. აქუბარდიას. ზემოაღნიშნული ქმედებით მხარეთა განზრახვა, რომელიც თავის მხრივ თავიდანვე გამოვლენილი იყო, დასრულებული დანაშაულის სახით მივიღეთ.

ამ საქმეში რამდენიმე ეპიზოდია:

კერძოდ: იყო რა მოხელე, მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს ქრთამის აღება ფულის (უცხოური ვალუტის) სახით ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ მოქმედების შეუსრულებლობისათვის, რომელიც მას, როგორც მოხელეს, უნდა შეესრულებინა და შეეძლო კიდევ შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჩადენილი ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, აგრეთვე, ქრთამის აღება-გამოძალვით.

## თავი 18. ზეგავლენით ვაჭრობა და ქრთამის აღება

სასამართლო პრაქტიკაში ზეგავლენით ვაჭრობისა და ქრთამის აღების გამიჯვნისას გვხვდება შეცდომები. ზოგჯერ ქმედება არასწორად კვალიფიცირდება როგორც ზეგავლენით ვაჭრობა. მაშინ, როცა მოხელე სწორედ თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის არა სხვა მოხელესთან პირადი ურთიერთობების მეშვეობით, უზრუნველყოფს გასამრჯელოს მიცემის სასარგებლო მოქმედების განხორციელებას. სსკ 338-ე მუხლში საუბარია მოხელის მიერ სამსახურეობრივი მფარველობის განხორციელებაზე და აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა ხელქვეითი ან მისი ახლობელი გადასცემს ქრთამს მოხელეს, რათა ამ უკანასკნელმა იზრუნოს ხელქვეითზე. შესაძლებლობის შემთხვევაში დააწინაუროს სამსახურში. გაგზავნოს უცხოეთში გრძელვადიანი მივლინებით, არ მოახდინოს რეაგირება მის დაბალ პროფესიონალიზმზე და სხვა.

ამასთან, აუცილებელია, მოხელეს გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ გასამრჯელო დაკავშირებულია მის მიერ სწორედ სამსახურეობრივი მფარველობის განხორციელებასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში როცა მოხელისგან ძღვენის სანაცვლოდ კონკრეტული ქმედების განხორციელებას არ ითხოვენ და მისი გადაცემა ადრე გაწეული სამსახურისთვის მაღლიერების ნიშნად, ან უბრალოდ მოხელის კეთილგანწყობის მოპოვებისთვის ხდება, გვექნება არა ქრთამი, არამედ კანონით აკრძალული საჩუქარი.<sup>54</sup>

---

<sup>54</sup> გ. ლლონტი, მ. მოსულიშვილი, პ. დაუთაშვილი, კორუფცია, სახელმძღვანელო, თბილისი, სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009, გვ. 277

## დასკვნა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში შევისწავლეთ და განვიხილეთ, რომ ქრთამის აღება/მიცემა და ზეგავლენით ვაჭრობა არის დანაშაული, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანს, არღვევს საქართველოს კონსტიტუციით ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ის ისეთივე დანაშაულია, როგორც სხვა ნებისმიერი კანონით აკრძალული ქმედება, რომელიც ისჯება სისხლის სამართლებრივად.

სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავდა განგვესაზღვრა თუ რა არის ქრთამი, რა მახასიათებლებით ხდება მისი დაკვალიფიცირება სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ, რა შემთხვევაში და რა არგუმენტაციით ხდება ბრალდების გადაკვალიფიცირება სასამართლოს მიერ.

მიგვაჩნია, რომ არაერთი საკითხია, რომელიც შეიძლება შესულიყო ნაშრომში, როგორც ლიტერატურის, ასევე სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვისას, თუმცა ნაშრომის ფორმატი აღნიშნულის საშუალებას არ გვაძლევს, ეს უკვე შემდგომი კვლევების მიზანია. მკითხველს დარჩება ცოდნა იმის შესახებ, თუ რა ადგილი უკავია მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. აგრეთვე, რა საგამომიებო მეთოდებს იყენებს სახელმწიფო საიმისოდ, რომ მოხდეს გამოვლენა სამოხელეო დანაშაულის, განსაკუთრებით კი სსკ 338-ე 339-ე მუხლების.

ნაშრომში დეტალურადაა გაშლილი, თუ რა შემთხვევაშია პირის მიერ ჩადენილი ქმედება ქრთამის მიღება, ხოლო რა შემთხვევაში - მის მიერ ზეგავლენით ვაჭრობა. თუმცა ვისურვებდით, რომ აღნიშნულ მუხლებზე სამართლებრივი პრაქტიკა ბევრად უფრო დეტალურად ყოფილიყო ჩაშლილი. იმედს ვიტოვებთ, შემდეგი კვლევები ამის საშუალებას მოგვცემს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

### სამეცნიერო ლიტერატურა:

1. გ. ღლონტი, ი. ლაგვილავა, ზ. მარუაშვილი, ე. წიკლაური, 2011 - კორუფცია საქართველოში და კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2011.
2. ლ. აბრამიშვილი, უქრთამო, პატიოსანი მოსამართლის სახე ძველ ქართულ სამართალში. ადამიანი და კონსტიტუცია, N3, 2004.
3. ზ. მაცაბერიძე, კორუფციასთან ბრძოლის კრიმინოლოგიური და სისხლის სამართლებრივი ღონისძიებები. თბილისი, ბაკმი, 2009
4. ორბელიანი, ს. ს., 1993 - ლექსიკონი ქართული ტ. 2. თბილისი, მერიდიანი, 1993
5. ვ. მაყაშვილი, გ. ტყემელაძე, პასუხისმგებლობა მექრთამეობისთვის, თბილისი, 1964
6. მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბილისი, მერიდიანი, 2005
7. მ. ზუხრა, კორუფციასთან ბრძოლის კრიმინოლოგიური და სისხლის სამართლებრივი ღონისძიებები, თბილისი: ბაკმი, 2009
8. გ. ღლონტი, მ. მოსულიშვილი, პ. დაუთაშვილი, 2009 - გიორგი ღლონტი, მანანა მოსულიშვილი, პეტრე დაუთაშვილი, კორუფცია, სახელმძღვანელო. თბილისი, სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009
9. გ. ოთარ გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება ზოგადი ნაწილი. წიგნი I, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2004
10. კრიმინოლოგია, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2008
11. გოჩა მამულაშვილი, არაერთგზისი დანაშაულის საკანონმდებლო ცნების სრულყოფისათვის. ჟურნალი ცხოვრება და კანონი. N 1(5), 2009
12. ციტირებულია ლ. აბრამიშვილის დისერტაციიდან ქრთამი ძველ ქართულ სამართალში, თბილისი, 2010



13. united nations declaration against corruption and bribery in international commercial transactions. სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტის კორუფციის სახელმძღვანელო, თბილისი, 2009
14. ramanauskas v.Lithuania,74420/01.2008 წლის 5 თებერვალი

### **სასამართლო გადაწყვეტილებები:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე. 2003 N4 461
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2003 N12 1684
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2002 N5
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2005 N8
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2001 N4
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2002 N3
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2002 N12
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2003 N9

### **ნორმატიული აქტები:**

1. საქართველოს კანონი - სისხლის სამართლის კოდექსი 22/07/1999
2. საქართველოს კანონი - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 09/10/2009
3. საქართველოს კანონი - ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ 30/04/1999
4. საქართველოს კანონი პროკურატურის შესახებ 21/10/2008
5. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ 27/10/2015

6. საქართველოს კანონი საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ 17/10/1997
7. კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 14 დეკემბრის N 3956 დადგენილებით

### ელექტრონული წყაროები:

1. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>
2. ECtHR, 9/06/1998, Teixeira de Castro v. Portugal, №44/1997/828/1034.
3. ECtHR, 5/02/2008, Ramanauskas v. Lithuania, №74420/01.
4. ECtHR, 1/07/2008, Malininas v. Lithuania, №10071/04.
5. ECtHR, 24/06/2008, Miliniene v. Lithuania, №74355/01.